გაზეთი ზღვრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№77 (1103) 10 – 12 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ ავსტრიის საპატიო კონსულ ევა ბერგერთან

„მალე საქართველოში ავსტრიის საელჩო გაიხსნება"

გვ.7

ამერიკელი ჟურნალისტი ქვანიას საქმეზე სკანდალურ ინფორმაციას ამხელს

გვ.3

ვის აღანაშაულებს ჯეფრი სილვერმანი და რა ვერდიქტს გამოიტანენ

ნაფიცი მსაჯულები

ზურაბ ჯაფარიძის 20/25 ბიძინა ივანიშვილის 20/30-ის წინააღმდეგ

რა კავშირი აქვს „ოთხეულის" ახალ პარტიას მერაბიშვილთან და ვინ აფინანსებს ყოფილ ნაციონალებს

გვ.4

დიდი წმენდა „წყალკანალში"

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" თანამშრომლები სამსახურიდან სტიქიის დროს წყლის დაბინძურების გამო დაითხოვეს?

გვ.5

რა უნდა იცოდნენ საზღვარგარეთ დასაქმების მსურველებმა

უცხოეთში დასაქმების სააგენტოებს საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს

გვ.6

„ფული თუ გაქვს, ყველაფერი მოსულა"

რა ხდება დღეს საქართველოს ციხეებში, ვის წერენ წერილებს და რატომ იხოცებიან პატიმრები

პატიმრის დღიური

გვ.8

ზურაბ ჟვანიას საქმე ნაფიცმსაჯულებმა „გადაიბარეს“

საქმის არსებითი განხილვა 10 ივლისს დაიწყება



ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას საქმეზე, ნაფიცი მსაჯულები დაინიშნებიან. მისი დაცვის ყოფილ უფროსს კობა ხარშილაძესა და დაცვის წევრს მიხეილ ძაძამიას სამსახურეობრივ გულგრილობას ედავებიან — პროკურატურამ ჟვანიას დაცვის სამსახურის წევრებს წაუყენა ბრალი სამსახურეობრივი გულგრილობის მუხლით, რამაც სიკვდილი გამოიწვია. განაპირობა თუ არა პრემიერის გარდაცვალება უსაფრთხოების სამსახურის გულგრილობამ, ნაფიცი მსაჯულები დაადგენენ.

ნაფიცი მსაჯულების შერჩევა 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ასობით კანდიდატმა გასაუბრება გაიარა, შერჩეული პირები განაჩენს ჟვანიას საქმეზე დაახლოებით ერთ თვეში გამოიტანენ. მათი გადაწყვეტილება საბოლოო იქნება და გასაჩივრებას აღარ დაექვემდებარება. ნაფიცი მსაჯულების მიერ ბრალდებულების გასამართლება, გარდაცვლილი პრემიერის დაცვის წევრებმა თავად მოითხოვეს. ბრალდებულების ადვოკატ ბექა ბასილაიას თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფები მზად არიან ისაუბრონ ყველა დეტალზე, რომლებზეც კითხვები არსებობდა: „ყველამ კარგად იცის, რატომ მიდიოდა ჟვანია იმ ბინაში და რატომ სთხოვა დაცვას, მარტო დაეტოვებინათ. საქმე ისაა, რომ დაცვის წევრების კეთილსინდისიერება ასე გამოიყენეს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები აპირებდნენ, ჟვანიას სიკვდილის შემდეგაც შეენახათ მისი საიდუმლო, თუმცა ამ საკითხს სხვადასხვა პოლიტიკური ძალები იყენებენ, ამდენად, ბრალდებულებს სხვა გზა არ აქვთ, გარდა იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა წინაშე ისაუბრონ“.

09:30 საათია. სასამართლოს შესასვლელში დაცვის რამდენიმე თანამშრომელი დგას. აქ პირადობის წარდგენა დაგჭირდებათ. ჩანთასაც შეგიმოწმებენ და „დეტექტორშიც“ გაგატარებენ. საქალაქო სასამართლოს დერეფანში ჯერ სიჩუმეა. ძირითადად თანამშრომლები არიან. საჩივრებისა და განცხადებების გამჭვირვალე ყუთი ცარიელია. მოქალაქეთა შენიშვნებისა და წინადადებების ხის ყუთშიც, არაფერი ჩანს.

ბანერზე, რომელიც შესასვლელში დგას, წერია: თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლები არიან სწრაფები, თავაზიანები, ზრდილები, ყურადღებიანები, მეგობრულები და რაც მთავარია, მობილიზებულები მოქალაქეთა პრობლემების გადაწყვეტაზე.

მე-11 დარბაზში შესასვლელად ვემზადები, მაგრამ ვგებულობ, რომ სხდომა 10 საათის ნაცვლად 12 საათზე გაიმართება. დარბაზის კარი ღიაა, თუმცა იმდენად პატარაა, რომ ეჭვი მაქვს ყველა სტუმარი მოთავსდეს. ისევ დერეფნისკენ ვინაცვლებ. ფანჯარასთან ხანშიშესული მოხუცი ზის. სანდომიანი სახე აქვს. გვერდით ქაღალდები ულაგია. მგონია, რომ ადვოკატია, მაგრამ ირკვევა, რომ თავადაც ბრალდებულია, თან სისხლის სამართლის საქმეზე. კონფლიქტი იმ ადამიანთან მოუვიდა, რომელიც მისი სახლის დაპატრონებას ცდილობდა. უდანაშაულო ვარ, აქ რისთვის ვარ, თავადაც ვერ გამიგია, მოსამართლე 6-ჯერ შემიცვალეს. პროკურორი — სამჯერო, მიმხელს. ზურაბ ჟვანიას საქმეზე სხდომა რომ უნდა ჩატარდეს, ჩემგან გებულობს და კომენტარსაც აკეთებს: „ჭკვიანი კაცი იყო ცხონებული. ეგ რომ ცოცხალი ყოფილიყო საქართველო ბევრად წინ იქნებოდა“.

საუბარში საათზე მეტი გავიდა. ამასობაში სხდომის დარბაზიც შეიცვალა — ახალი დარბაზი 150 კაცზეა გათვლილი. სხდომის დაწყება გვიანდება. კონსულტანტი გოგონა, რომელიც დარბაზის შესასვლელთან დაჯდა ვიღაცას ელოდება. 14 დანომრილი ბეიჯი მოუტანეს, რომელზეც სახელი და გვარი არ წერია.

12:25 საათია. კონსულტანტს ურეკავენ და ეუბნებიან, რომ ერთი ნაფიცმსაჯული დღევანდელ სხდომაზე ვეღარ გამოცხადდება. საყვედურობს, ეს აქამდე უნდა მცოდნოდაო და აფრთხილებს, რომ ნაფიცმსაჯულმა შემდეგი სხდომისთვის თადარიგი დაიჭიროს.

რამდენიმე წუთში ჯგუფადშეკრული უცნობი ადამიანები მოვიდნენ. ცამეტნი არიან. 5 შუახნის იქნება. დანარჩენები კი ახალგაზრდები — 20-35 წლის. მსაჯულებს შორის ქალები ჭარბობენ. ახალგაზრდა გოგონა, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია და დღევანდელ სხდომაზე პრაქტიკის მისაღებად მოვიდა, მეუბნება, რომ იმის გამოკვლევა, ვინ არიან მსაჯულები, დაუშვებელია და კანონით ისჯება. ნაფიცმსაჯულებს საჯარო რეესტრის მეშვეობით, ლოტოტრონის სისტემით ეძებენ. არსებობს რამდენიმე პირობა, რომელიც ნაფიცმსაჯულმა აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს — არ უნდა იყოს ჟურნალისტი, იურისტი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სასულიერო პირი ან საჯარო მოხელე. უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და არ უნდა გააჩნდეს ნათესაური კავშირი ბრალდებულთან. უმაღლესი განათლების ქონა სავალდებულო არ არის. პროცესზე მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თანხმობის შემთხვევაში სასამართლო მათ მხოლოდ ელემენტარულ ხარჯებს უფარავს.

12:35 საათია. დარბაზში შევდივართ. ნაფიც მსაჯულები პირველ რიგში სხდებიან. ახალგაზრდა კონსულტანტი გვთხოვს დისტანცია შევინარჩუნოთ და მესამე რიგისკენ მიგვითითებს.

12:40 საათზე დარბაზში მოსამართლე შემოდის. ნაფიც მსაჯულებს უკვე მინიჭებული ნუმერაციით იძახებს და ახალ ნუმერაციას ანიჭებს. დღეს ერთი ნაფიცი მსაჯული არ იმყოფება. როგორც ირკვევა ის სათადარიგო შემადგენლობაში არ იქნება. მსაჯულები მოსამართლის სიახლოვეს სხდებიან.

სხდომაზე ირკვევა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას საქმის არსებითი განხილვა 10 ივლისს დილის 11 საათზე გაიმართება. ამ დღეს ნაფიცი მსაჯულები ნახევარი საათით ადრე უნდა გამოცხადდნენ.

პრემიერი საჯარო მოხელეთა მომზადების ცენტრის შექმნის ინიციატივით გამოდის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ინიციატივით გამოდის, რომ შეიქმნას საჯარო მოხელეთა მომზადების ცენტრი.

ღარიბაშვილის თქმით, გასულ წელს, მისი ინიციატივით, დაფუძნდა განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელმაც უკვე 77 სტუდენტი გაგზავნა უცხოეთში: **„სტუდენტები გავგზავნეთ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. წელს უკვე ველოდებით, რომ ის სტუდენტები საქართველოში დაბრუნდებიან. სექტემბრიდან ვაგზავნით 115 სტუდენტს ჰარვარდში, ოქსფორდში... იდეა მინდა გაგაცნოთ. ვინაიდან, გასულ კვირას უკვე დავამტკიცეთ საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონპროექტი, გადავწყვიტეთ, ამ კანონის ამოქმედებასთან ერთად, იმ დროისთვის დაიწყოს მოხელეთა მომზადების ცენტრის შექმნის ღონისძიებები“.**

როგორც პრემიერმა აღნიშნა, განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ჭელიძემ მოამზადა გეგმა, როგორ უნდა შეიქმნას ცენტრი. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ამ საკითხში აქტიურად არის ჩართული მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძეც.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელის ნინო ჭელიძის განმარტებით, ცენტრი მიმდინარე საჯარო მოხელეთა რეფორმის ინსტრუმენტი იქნება: **„ეს საქართველოს დაეხმარება, რომ ჩვენი საჯარო მოხელეები მზად იყვნენ ევროპის სამუშაო სტანდარტებისა და პოლიტიკისთვის. სკოლას ექნება როგორც აუცილებელი, სავალდებული ტრენინგი, რომელიც საჯარო მოხელეებს პირველ ეტაპზე მოამზადებს, ასევე, თემატური ტრენინგები. სკოლა საჯარო მოხელეებს შესთავაზებს მომზადების იმ საშუალებას, რაც მათ დაწინაურებაში შეუწყობს ხელს. ეს სკოლა მსოფლიოს წამყვან სკოლებთან თანამშრომლობით გაკეთდება. მისი კურიკულუმისა და ადმინისტრაციის გამართვაში ჩართული იქნება ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციის სკოლა და პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ადმინისტრაციული სკოლა. იმედი გვაქვს, რომ ფუნქციონირებას პროგრამის დაწყებიდან 12 თვეში დავიწყებთ და ყოველწლიურად 1 200-1 400 საჯარო მოხელეს გადავამზადებთ“.**

როგორც ნინო ჭელიძემ განაცხადა, პროგრამისთვის 2 მილიონი ლარია განკუთვნილი და ის სექტემბრიდან დაიწყება. მისივე ინფორმაციით, სკოლის ამუშავება 2016 წლის სექტემბრისთვის იგეგმება.

„პირველი“

პროკურატურა კეზერაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით მოსამართლემ სრულად გაიზიარა პროკურატურის პოზიცია და გამოძალვისთვის ბრალდებულ დავით კეზერაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. პროკურატურის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: „დავით კეზერაშვილს ბრალი ედება მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევაში. კერძოდ, ფოთის პორტში ნავთობპროდუქტების და მშრალი ტვირთების გადამუშავებასთან დაკავშირებული ბიზნესწილების მესაკუთრისთვის გამოძალვაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4 დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამჟამად ინტერპოლის წითელი ცირკულარით დავით კეზერაშვილის მიმართ წარმოებს საერთაშორისო ძებნა“.

„პირველი“

ვერსიანიული

„სემეკი“ სამომხმარებლო ტარიფთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას თვის ბოლომდე მიიღებს

„სემეკის“ თავმჯდომარის, ირინა მილორავას განცხადებით, სამომხმარებლო ტარიფთან დაკავშირებით, კომისიაში მხოლოდ ერთი განაცხადია მიღებული, რომლის განხილვა თვის ბოლომდე მოხდება.

როგორც მილორავამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, მას ამ ეტაპზე არ შეუძლია გააკეთოს პროგნოზი, რას გადაწყვეტს კომისია: **„რაც შეეხება სამომხმარებლო ტარიფს, ამასთან დაკავშირებით კომისიაში „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ არის მხოლოდ სატარიფო განაცხადი წარმოდგენილი. განაცხადი აპრილის თვეშია წარმოდგენილი და ჩვენ გვაქვს 150 დღე ამის განხილვისთვის და გადაწყვეტილების მისაღებად. ვფიქრობთ, რომ ამ თვის ბოლომდე შესაძლებელია, ამ ნაწილშიც მივიღოთ უკვე გადაწყვეტილება, თუმცა, წინასწარ შეფასების გაკეთება არასწორია, რადგან კომისია არის კოლეგიური ორგანო, გადაწყვეტილებას იღებს სამი ადამიანი. როგორი იქნება გადაწყვეტილება, ამის პროგნოზირება დღეს სწორი არ იქნება“.**

რაც შეეხება თბოელექტროსადგურების ტარიფს, „სემეკის“ თავმჯდომარის თქმით, ჯერჯერობით კომისიაში შესულია თბოელექტროსადგურების სატარიფო განაცხადები, რომლის განხილვასაც კომისია 15 ივლისს გეგმავს: **„სატარიფო განაცხადების წარმოდგენის საფუძვლად კომპანიამ მიუთითა ლარის კურსის ცვლილება. ჩვენ ვიხილავთ თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიის წარმოების ტარიფს. წარმოების ტარიფში ბუნებრივი გაზის ხარჯის კომპონენტი წარმოდგენილია 99%-ით. ცხადია, ეს ნიშნავს, რომ ლარის კურსთან დაკავშირებული ცვლილება თბოელელექტროსადგურების ტარიფზე აისახება“.**

„პირველი“

სასამართლო პროცესის წინ ამერიკელი ჟურნალისტი ჟვანიას საქმეზე სკანდალურ ინფორმაციას ამხელს

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

ამერიკელი ჟურნალისტი, გამოცემა „ვეტერანს-თუდეის“ საქართველოს ბიუროს წარმომადგენელი, ჯეფრი სილვერმანი, „ვერსიას“ საქართველოს გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას საქმეზე, ახალ სკანდალურ დეტალებს აწვდის. სილვერმანის განმარტებით, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე კონსპირაციულ ბინაში არსებული ყველანაირი ნივთმტკიცებულება, მათ შორის ანაბეჭდები, აშშ-ს ფედერალური ბიუროს თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ბრაინ პარმანმა გაანადგურა. ეს მან აშშ-ს დაკვეთით გააკეთა, რადგან ვარდების რევოლუციის შემდეგ, ჟვანია ერთადერთი გავლენიანი ადამიანი იყო, ვისაც რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება და ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღება შეეძლო. სილვერმანის განმარტებით, პრემიერის მკვლელობისთვის მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი ის იყო, რომ ჟვანიას არ სურდა, იარაღის ბიზნესში საქართველო ტრანზიტული ქვეყანა ყოფილიყო. საუბარია იმ იარაღზე, რომელიც აშშ-ის არიზონას შტატიდან ჯერ საქართველოში იგზავნებოდა, შემდეგ თურქმენეთში იქიდან კი აზიის ქვეყნებში ნაწილდებოდა. სილვერმანის განმარტებით, ეს ის იარაღია, რომელიც თალიბანს, ისლამურ სახელმწიფოსა და სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებს მიეწოდებოდათ.



ვის ადანაშაულებს ჯეფრი სილვერმანი და რა ვერდიქტს გამოიტანენ ნაფიცი მსაჯულები

— სად გაიცანით აშშ-ის ფედერალური ბიუროს წარმომადგენელი ბრაიან პარმანი?

— მას ვაკეში ერთ-ერთ ბარში შევხვდი, თუმცა მანამდე ამ საქმეს სხვა მოვლენები უსწრებდა. ხშირად ვწერდი არალეგალურ იარაღზე, პანკისში არსებულ მდგომარეობაზე და ვანარმოებდი სხვადასხვა სახის გამოძიებას, რაც რა თქმა უნდა, ბევრს არ მოსწონდა. ერთხელაც, დიდუბეში, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები თავს დამესხნენ. ჩამსვეს მანქანაში და ორთაჭალაში, შსს-ს შენობაში გადამიყვანეს. იქიდან მოდულის შენობაში, სადაც ერთ-ერთმა მათგანმა სასტიკად მცემა და კბილები ჩამიმტვრია. ჩემს ცემას 5-6 ადამიანი ესწრებოდა, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ამბობდა. მიზეზსაც არ მეუბნებოდნენ, რამდენიმე წუთში ოთახში ქალბატონი შემოვიდა. აშშ-ს წარმომადგენელი იყო და საქართველოში ამერიკის მოქალაქეების მონიტორინგი ევალებოდა. მითხრა, რომ აშშ-ის იმდროინდელი ელჩი მოკითხვას მითვლიდა. მითხრეს, რომ არ მოსწონდათ ჩემი კრიტიკული სტატიები. დამემუქრნენ, რომ თუ ასე გავაგრძელებდი, ამერიკაში ბორკილდადებულს გამიშვებდნენ. მაშინდელი ელჩი რიჩარდ მაილსი საქმის კურსში იყო. სხვათაშორის მასთანაც გარკვეული ნაცნობობა მაკავშირებს. ის ჩემს ლექტორს, ჯონ სტემპელსაც კარგად იცნობდა, რომელიც ყოფილი ჯაშუში იყო.

— ვინ იყო ის ქალბატონი, რომელიც დაკითხვის ოთახში გესაუბრებოდათ ან ის ადამიანი, ვინც გცემათ?

— ცემის ფაქტი არაერთხელ გავასაჩივრე, მაგრამ სააკაშვილის მთავრობაში მის წინააღმდეგ რას მივაღწევდი? ვინ მცემა, არ მახსოვს. იმ ქალბატონის ვინაობის გამხელისგან ახლა თავს შევიკავებ. ჩემი ინფორმაციით, ის ახლაც საქართველოშია და აშშ-ს საელჩოში მუშაობს.

— რა კავშირი აქვს ბრაიან პარმანს ჟვანიას საქმესთან?

— ჩემი მეგობრების მეშვეობით მალევე დავადგინე, რომ ჩემი დაჭერისა და ცემის ბრძანება სწორედ ფედერალური ბიუროს აგენტმა, ბრაიან პარმანმა გასცა. პირადად ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, თუმცა მე ვიცოდი, ის ვინ იყო და მანაც იცოდა ჩემს შესახებ. გადავწყვიტე, პირადად მენახა და მეკითხა, რას მერჩოდა. ჩემი მეგობრებისგან შევიტყვე, რომ პარმანი ხშირად დადიოდა სტრიპტიზ კლუბებში. გამიზნულად მივედი იქ, რომ დავლაპარაკებოდი.

— პროვოკაციაზე წამოგება გინდოდათ?

— არავითარ შემთხვევაში. აუცილებლად უნდა დავლაპარაკებოდი მას და გამეგო, რა იყო პრობლემა. როდესაც მივუახლოვდი, ბართან იჯდა და ლუდს სვამდა. მაშინვე მიცნო, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ნანახი არ ვყავდი. ლუდზე დამპატიჟა. მითხრა, წამიკითხავს შენი სტატიები, სიმართლეს კი წერ, მაგრამ მე ეს არ მომწონს და მსგავსი რამეები აღარ უნდა დაწეროო. შემდეგ საუბრის თემა შეცვალა და თავისი მეგობარი გოგონა, სლავური გარეგნობის ვიქტორია გამაცნო, რომელიც ძალიან ვულგარულად იყო ჩაცმული. მითხრა, ეს ჩემი გოგოაო. მე კი რუსულად ვუპასუხე, ეს მხოლოდ შენი კი არა, ყველას გოგოა-თქო. მან ვერაფერი გაიგო, მაგრამ სამაგიეროდ, მისი დაცვის წევრი, რომელმაც რუსული იცოდა, მოგვიახლოვდა, რაღაც ჩასჩურჩულა პარმანს და ლუდის ბოთლი პირდაპირ თავში ჩამარტყა. შემდეგ მეც იგივე ვქენი. ორივენი დავსისხლიანდით. მე შინ წამოვედი. როგორც მოგვიანებით გავიგე, იქ პოლიცია მივიდა, მაგრამ ამერიკელები არაფერს ყვებოდნენ, ქართველებმა თქვანო. არავის არაფერი გამოუძიებია, თუმცა ვინ რას გამოიძიებდა, პარმანი ხომ ხელშეუხებლობის მანდატით სარგებლობს.

— თქვენ პარმანის შესახებ არაერთი პუბლიკაცია გაქვთ. როგორ განვითარდა მოვლენები ბარში მომხდარი ჩხუბის შემდეგ?

— ბარში მომხდარი შემთხვევის შემდეგ დავიწყე იმის გარება — პარმანი ლაჩარია. თუ „დაგუგლავთ“, ნახავთ, რამდენი პუბლიკაცია მაქვს მის შესახებ. მინდა ყველამ იცოდეს, რასაც წარმოადგენს. ჩემი ნათქვამის დამტკიცება არ შემიძლია. ეს არის ინფორმაცია, რომელიც წყაროებზე დაყრდნობით მოვიპოვე. ერთ-ერთი წყარო იყო ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი ქართველი გოგონა, რომელიც პარმანმა მოატყუა, ცოლად მოგიყვანო და შემდეგ, რუს ვიქტორიაში გაცვალა, რომელთან ერთადაც დღეს ამერიკაში ცხოვრობს. ვიქტორიას პირველი მეუღლე რუსეთის დაზვერვაში მუშაობდა. გაბრაზებული ადამიანი საუკეთესო რესპოდენტია. მას არასდროს ეშინია და ამბობს იმას, რაც რეალურად არის.

— შემთხვევის ადგილის „გაწმენდა“, თქვენი აზრით, მაინცდამაინც პარმანს რატომ დაავალეს?

— იმიტომ, რომ ამ საქმის პროფესიონალი იყო.

— თუ ასეა, გამოდის, არ იზიარებთ პრემიერის გაზით გაგუდვის ვერსიას. თქვენი ინფორმაციით, რა ვითარებაში დაიღუპა ზურაბ ჟვანია?

— ამის დამტკიცება არ შემიძლია, მაგრამ ჩემი პირადი მოსაზრებით, ჟვანია სხვაგან გარდაიცვალა და იქ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მიიყვანეს. ვიცი, რომ ჟვანია ძალიან გონიერი კაცი იყო. ის ქმნიდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო რუსეთთან მდგომარეობის დარეგულირება, კომპრომისზე წასვლა, ლავირება და ქვეყნისთვის სასიკეთო, ნაციონალურ ღირებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ასლან აბაშიძესთან.

> **იქ, სადაც სააკაშვილი ვითარებას ძაბავდა, ჟვანია აბალანსებდა. კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან და უნდოდა ეპოვნა ის ოქროს შუალედი, რომელიც ამერიკულ მხარეს არ აწყობდა. ჟვანია პროქართული პოლიტიკის მატარებელი იყო. სწორედ ამიტომ დაინახა აშშ-მა საფრთხე და ის თავიდან მოიშორა. მეორე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ ჟვანიამ იცოდა არალეგალური ბიზნესის შესახებ. საუბარია იმ იარაღზე, რომელიც არიზონას შტატიდან საქართველოში შემოდიოდა, შემდეგ თურქმენეთში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ნაწილდებოდა, მათ შორის, აზიაში. ჟვანია ეროვნული კაცი იყო და არ უნდოდა, რომ საქართველო არალეგალური იარაღის სატრანზიტო ქვეყანა გამხდარიყო. მან იცოდა, რა საფრთხის შემცვლელი შეიძლებოდა ეს ყოფილიყო. დიდი ალბათობით, ეს ის იარაღია, რომელსაც ახლა ისლამური სახელმწიფო და სხვა ტერორისტული დაჯგუფებები იყენებენ.**

— ჟვანიას საქმის გამოძიებისას, პარმანმა ერთ ბრიფინგზე განაცხადა, აშშ-ის მიერ გაკეთებული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ პრემიერი ნამდვილად გაზით იყო მოწამლული.

— დიახ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, თუ ასეა, რატომ არაფერი თქვა იმ ფიზიკურ დაზიანებებზე, რომლებიც მთელმა ქვეყანამ იხილა სოციალური ქსელით გავრცელებულ ვიდეოებში? რატომ არ ისაუბრა ამის შესახებ? გჯერათ, რომ ამერიკულმა მხარემ ამ დაზიანებების შესახებ არაფერი იცოდა? მე ერთადერთი პასუხი მაქვს. თუ ყველაფერი გაირკვევა, ქართველები რუსეთისკენ გადაიხრებიან. ახლა კი ამის დრო არ არის, რადგან ამ ეტაპზე რუსეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი არ არის და კიდევ დიდხანს არ იქნება. სწორედ ამიტომ გაიწელება ჟვანიას საქმის გამოძიება. რაც შეეხება ინფორმაციას ჟვანიას სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ნებისმიერი ტრადიციული ქართული ოჯახისთვის მტკივნეული იქნება ოჯახის წევრზე ამგვარი ინფორმაციის მიღება. ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ როგორც ჩანს გარდაცვლილი პრემიერის ოჯახისთვის ეს დიდი დარტყმა იქნებოდა, ეს ყველამ იცოდა და ამიტომ შეეცადნენ მათი ამ დელიკატური საკითხით შეჩერებას. ახალი სასამართლო სხდომიდან ამ დეტალების გაცხადების გარდა, სხვას არაფერს ველი.

— ეს ადამიანები ჟვანიას საქმეზე ინფორმაციას ამხელენ, ანუ ეს ადამიანები ჟვანიას საქმეში ბრალეულ პირებად ითვლებიან?

— ეს ადამიანები ჟვანიას საქმეში ბრალეულ პირებად ითვლებიან.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ზურაბ ჯაფარიძის 20/25 ბიძინა ივანიშვილის 20-30-ის წინააღმდეგ

რა კავშირი აქვს „ოთხეულის“ ახალ პარტიას ვანო მერაბიშვილთან და ვინ აფინანსებს ყოფილ ნაციონალებს

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში კიდევ ერთი პარტია სექტემბერში დაფუძნდება და გააქტიურდება. ნაციონალებიდან წამოსული 4 დეპუტატის ახალ ძალას, დიდი ალბათობით, ლიბერალ-დემოკრატები ერქმევა და მთავარ მიზნად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ პროდასავლურ ფრონტზე სხვა პარტიების შემოკრებას დაისახავს. ამომრჩეველს რადიკალურ პოლიტიკას ვთავაზობო, აცხადებს ზურაბ ჯაფარიძე და პირველ საგაზეთო, ექსკლუზიურ ინტერვიუში გეგმებსაც გვიმხელს: გააუქმებს საშემოსავლო და მოგების გადასახადებს, ჯარში სავალდებულო გაწვევას და დეპუტატების პენსიას; ბიუჯეტს 3 მილიარდი ლარით შეამცირებს; 3 მილიონ ლარად კი, 6 თვეში, იმას დაითვლის, რეალურად, რამდენი გაჭირვებული ჰყავს ქვეყანას და სახელმწიფო მხოლოდ მათ დაეხმარება — ამ გზით, მისი აზრით, 10 წელიწადში პოლონეთის განვითარების დონეს დავეწევით. ასეთია ზურაბ ჯაფარიძის პროგრამა „20-25“ ბიძინა ივანიშვილის „20/30“-ის წინააღმდეგ, თუმცა ჯერ საპარლამენტო ფრაქციაც არ აქვს. ვის ელაპარაკება პარლამენტში ფრაქციის შესაქმნელად, რა კავშირი აქვს ახალ პარტიას ვანო მერაბიშვილთან, ვინ აფინანსებს ყოფილ ნაციონალებს და რატომ უხდის ბოდიშს სერგო რატიანს — „ვერსიის“ კითხვებს ზურაბ ჯაფარიძე პასუხობს:

— ოთხი დეპუტატიდან მხოლოდ მე ვაპირებ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, ამიტომ ახლა სხვების შეკრებასაც ველოდებით. უკვე გვყავს ახალი სახეები, მათ შორის ისინი, ვინც ამ ახალი პოლიტიკური ცენტრის პლატფორმა, არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნა. ვფიქრობ, ქართულ პოლიტიკაში ჯერ მაინც ახალი სახე გახლავართ, რადგან სულ 2,5 წელია პარტიულ ცხოვრებაში ვარ.

— ჰო, მაგრამ ნაციონალებში გატარებული 2,5 წელი სხვა პარტიების 20-წლიან სტაჟს ჩამოწერს. ისე, არ გითქვამთ, ვინ იყო ის ერთი ლიდერი, ვინც თქვენი წამოსვლის შესახებ იცოდა და სინამდვილეში, როგორ გასკდა ეს ინფორმაცია?

— ჯერ ერთი, იმ 2,5 წელიწადში საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე, ბევრი რამ ვისწავლე. ჩვენი წამოსვლის მიზანი კი ნაციონალებიდან ადამიანების წამოყვანა და მისი დაშლა არ ყოფილა. ერთ ლიდერს რაც შეეხება, ერთთან გვქონდა საუბარი, თორემ ამის შესახებ რამდენიმე კაცმა იცოდა პარტიაში, თუმცა გვარების დასახელება ისევ არ მინდა. არა მგონია, ეს მნიშვნელოვანი იყოს. აღმასრულებელი მდივანი ვიყავი და ამაზე საჯაროდ საუბარი ჩემგან არაეთიკური იქნება. მესმის, ამას რაც მოჰყვა და ისიც მესმის, რომ შესაძლოა, ჩემთვის პარტიიდან წამოსვლის ფორმამ დაგვაზიანა-კიდეც, მაგრამ მე ასე არ დამიგეგმავს. ამ ინფორმაციას ჩვენი მხრიდან არ გაუჟონავს. არ ვიცი ეს ვინ გააკეთა და ვის ინტერესებში შედიოდა.

— ისე, ნაციონალებმა ახალი გენმდივანი აირჩიეს, გული არ გწყდებათ?

— არა, არ მწყდება, რადგან პარტიაში რომ დავრჩენილიყავი, მეც სერგო რატიანს დავუჭერდი მხარს. მასთან ძალიან ახლოს ვიყავი. სამწუხაროდ, მანაც არ იცოდა ჩემი წამოსვლის შესახებ და თქვენი გაზეთის მეშვეობით, მინდა, კიდევ ერთხელ ბოდიში მოვუხადო ამის გამო.

— ნაციონალებიდან თქვენი წამოსვლის მერე რამდენიმე ჭორი გავრცელდა. ერთი ვერსიით, თქვენ ვანო მერაბიშვილის ინტერესების გამტარებელ პარტიას ქმნიდით. რამე კავშირი თუ გაქვთ მერაბიშვილთან?

— სულ იყო მითი, რომ ციხეში მყოფი ადამიანები ნაციონალურ მოძრაობას მართავდნენ. ცალსახად გპასუხოთ, რომ ციხეში მყოფი არცერთი ლიდერი პარტიულ ცხოვრებაში არ ჩარეულა. მით უმეტეს, ჩვენი წამოსვლის დაკავშირება ვანო მერაბიშვილთან თავიდან ბოლომდე ზღაპარია.

— და ის, რომ ვანო მერაბიშვილის ყოფილ სახლში გქონდათ ოფისი, ვაკეში?

— სრული სისულელეა. ვაკეში ოფისი არასდროს გვქონია. ადამიანებს უყვართ-ხოლმე შეთქმულების თეორიები და მერე მათ ვერსიებად ავითარებენ. პირველად ვინ გაავრცელა ეს ჭორი ნადვილად ვერ გეტყვით, მაგრამ სრული სისულელეა.

— მეორე ვერსიით, „ივერიისა“ და „თავისუფალი ზონის“ შემდეგ, ნაციონალებს ახლა ეს ცენტრი გამოეყო, მაგრამ სინამდვილეში, ისევ ერთად ხართ და ეს დაქსაქსვა სტრატეგიის ნაწილია. ასეა?

— მსგავსი სპეკულაციები მხოლოდ აქ კი არა, მთელ მსოფლიოში აქტუალურია. იმაზეც იყო საუბარი, თითქოს, ხელისუფლებაში დაბრუნებას აგრესიული ფორმებით ვაპირებდით. ეს არც ახლა შედის ჩვენს გეგმებში და არც მაშინ შედიოდა, როცა ნაციონალურ მოძრაობაში ვიყავი. ნებისმიერი ძალადობრივი ნაბიჯი ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება, ამიტომ ხელისუფლებების ცვლას მხოლოდ არჩევნების გზით ვემხრობით. ჩვენი პარტია სექტემბრიდან გააქტიურდება და 2016 წლის არჩევნებში სერიოზულ შედეგს აჩვენებს.

— მანამდე ყველაზე რეალურ ვერსიაზე მიპასუხეთ — როცა განმარტეთ, რომ პარტიას ახალი სახეები სჭირდება და ამიტომაც ტოვებთ ნაციონალებს, სააკაშვილი იგულისხმეთ და მას ემიჯნებით?

— სააკაშვილი ძალიან ძლიერი პოლიტიკური ფიგურაა და ამის უარყოფა სისულელედ მიმაჩნია. მას აქვს გავლენა ქართულ პოლიტიკაზე და კიდევ უფრო სერიოზული გავლენა ნაციონალურ მოძრაობაზე. ჩვენს შორის არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა. უბრალოდ, იყო რაღაც საკითხები, რაშიც მე და მიხეილ სააკაშვილი სხვადასხვა პოზიციაზე აღმოვჩნდით. თუმცა შიდასამზარეულოს გამოტანა არ მინდა. ფაქტია, ნაციონალურმა მოძრაობამ ასპარეზზე ახალი სახეების გამოყვანის გამოცდა ვერ ჩაბარა და ამით ვერც ხალხის პირდაპირი დაკვეთა შეასრულა. თუ გინდათ, ეს მაიცდამაინც სააკაშვილს დავაბრალო, ასე არ გამოვა და არც მისი ფიგურა გამხდარა პარტიიდან ჩვენი წამოსვლის მიზეზი.

— უბრალოდ, ძალიან ტრაფარეტული და არაგულწრფელი მეჩვენება თქვენი ზოგადი განცხადება, რომ პარტიას ახალი სახეები სჭირდება. მით უმეტეს, ახალ სახედ არც თქვენ მიმაჩნიხართ, რადგან ექსხელისუფლების ყველა შეცდომაზე პასუხისმგებლობა თქვენც გეკისრებათ.

— არაა ასე. ჯერ ერთი, ამ პასუხსმგებლობას იმიტომ არ ავიღებ, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მათთან არ ვყოფილვარ და მხოლოდ ოპოზიციაში ყოფნისას შევუერთდი. თანაც, იყო საკითხები, რაც არ მომწონდა და ამას საჯაროდ ვაფიქსირებდი პარტიაში მისვლამდე. არ მომწონდა სამართალდამცავი სტრუქტურების დამოკიდებულება ბიზნესისადმი, მედიასთან ურთიერთობა.

— მედიასთან ურთიერთობა თავად დაიწყეთ დიდი შეცდომით — წასვლის წერილი გამოგვიგზავნეთ და რამდენიმე დღე დაიკარგეთ!

— არა, ჩვენ რაღაც შეთანხმება გვქონდა და შევეცადეთ, იმისდა მიუხედავად, რომ ამით სწორედ ჩვენ დავზარალდით, შეთანხმება ბოლომდე დაგვეცვა. ამიტომ არ გავაკეთეთ დამატებითი განცხადებები. წამოსვლის მიზეზი კი არც არაგულწრფელია და არც არარეალური — ეს ზედაპირზე დევს, როცა მოსახლეობას ვესაუბრებით. მათ ახალი სახეები სჭირდებათ, არსებული სპექტრი აღარ აკმაყოფილებთ და ამას ყველა კვლევა ადასტურებს. სწორედ ამიტომ ამბობენ ჩემი მეგობრები, კუბლაშვილი, მელაძე და ხაჩიძე, რომ პოლიტიკაში დარჩენა აღარ სურთ და შემდეგი მოწვევის პარლამენტში არ შევლენ. იმასაც აცნობიერებენ, რომ ხალხს ძველი სახეები მობეზრდა.

— მერე ამ დიად გეგმებში ნაციონალებთან ასოცირება ხელს არ შეგიშლით?

— ნაწილობრივ, ალბათ შემიშლის, რადგან მოსახლეობის ნაწილისთვის ამ პარტიის წევრობა მაინც ნეგატივთან ასოცირდება. თუმცა ხალხი კიდევ ბევრ რამეს აქცევს ყურადღებას, მაგალითად, პლატფორმას, პროგრამას.

> **მესმის, რომ ყველა პროდასავლური ძალა ერთმანეთის კონკურენტები ვიქნებით, მაგრამ, ჯამში, ვფიქრობ, მომავალ წელს, არჩევნებამდე, კონსოლიდაცია შედგება. არ ვიცი, ამ ცენტრში „ივერია“ იქნება, ალასანიას პარტია თუ სხვა, მაგრამ რაღაც ტიპის გაერთიანება უნდა შედგეს. ნაციონალურ მოძრაობასთან კონსოლიდაცია ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო რთული იქნება, ისინი დამოუკიდებელი მოთამაშეები იქნებიან. თუმცა სხვა პროდასავლური ძალების გაერთიანება არაფორმალური მმართველობის დამარცხების იდეალური სტრატეგიაა.**

— მოდით, გამოკვეთილად პროდასავლურ სპექტრს თვალი გადავავლოთ — „ივერია“, „ახლები“, ედპ, დავითაიას პარტია, ნაციონალები, ალასანიას პარტია, რესპუბლიკელები. აქედან ვისთან კონსოლიდაციის იმედი გაქვთ, რესპუბლიკელები გამოიქცევიან „ოცნებიდან“, თუ ალასანია მოვა თქვენთან, დანარჩენები კი რომც მოვიდნენ, ამ გაერთიანებას ძლიერი პროდასავლური ცენტრი უნდა ვუწოდოთ?

— ვინც ჩამოთვალეთ, ალბათ, მომავალი არჩევნებისთვის ყველა გააქტიურდება, ასევე, სხვებიც დაემატებიან, მათ შორის, სალომე ზურაბიშვილი. ალბათ, ჩვენ ვნახავთ ბევრ მოლაპარაკეს და მათი უმეტესობა იტყვის, რომ პროდასავლური ძალაა. რამდენად სერიოზული იქნება ჩვენი მიზიდულობის ცენტრი, ამას დრო გვიჩვენებს. შემიძლია კონკრეტული ახალი სახეც დაგიასახელოთ — იაგო ხვიჩია, რომელიც ჩვენს მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორია. სათანამშრომლოდ ნებისმიერ პროდასავლურ პარტიასთან მზად ვართ. როცა მილიარდერს ებრძვი, რომელიც ქვეყანას კულისებიდან მართავს, მარტო თამაშზე ბევრად სწორი სტრატეგია სწორედ ძალთა გაერთიანება მგონია. ასევე, შემიძლია, ზუსტად გითხრათ, ვისთან არ ვითანამშრომლებ არასდროს – ბურჯანაძესთან, ინაშვილთან, „ქართულ ოცნებასთან“...

— ოფისზე გეტყობათ, ქეის ფული მართლა ჩაურიცხავს.

— ეგ აბსურდულო ვერსიაც მოვისმინე,თითქოს პალიკოს რაღაც ფული ჩაურიცხეს. არადა, ადამიანი რიგაში საერთოდ არაა ნამყოფი. ეს ოფისი კი ძალიან მოგვეწონა, განსაკუთრებით, ხედები: პრეზიდენტის რეზიდენცია, ივანიშვილის ბიზნესცენტრი და მთავრობის სასახლე ჩანს.

— ნებისმიერ შემთხვევაში, დაფინანსება მიგიღიათ, საიდან?

— სხვათა შორის, ოფისის თანხა ჯერ არ გადაგვიხდია, ისე ვართ შემოსახლებული. თუმცა სწორედ ახლა უნდა მივიღოთ, რადგან ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი რამდენიმე ბიზნესმენმა გამოთქვა. როგორც კი ჩვენს შორის პირველი დოკუმენტი გაფორმდება, მათ სახელს მაშინვე გავასაჯაროვებთ.

— არადა, ცოტა ხნის წინ, ხმა გავარდა, თითქოს, ფრაქციის შექმნაში, „ოცნებაში“ გადასული ორი ექსნაციონალი, ენზელ მკოიანი და ბიზნესმენი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი დაგეხმარებოდნენ. თუმცა ორივე გაგემიჯნათ. რეალურად ვის ელაპარაკებით ფრაქციის თემაზე?

— ეს ჭორი არ იყო, ფრაქციის შექმნაზე მართლა ვმუშაობთ. ჯერჯერობოთ, შეთანხმება არცერთ კონკრეტულ ადამიანთან არ გვაქვს.

დასასრული მე-5 გვერდზე

ვერსიანიუსი

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მდივანი რუსეთს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მთავარ საფრთხეს უწოდებს

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მდივანი დებორა ლი ჯეიმსი რუსეთს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მთავარ საფრთხეს უწოდებს. ამის შესახებ ამერიკელმა მაღალჩინოსანმა „როიტერთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისივე თქმით, იგი შეშფოთებულია მოსკოვის ქმედებებით, რის საპასუხოდაც საჭიროა ევროპაში აშშ-ის სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდა. ამას გარდა, როგორც დებორა ლი ჯეიმსმა აღნიშნა, ამერიკული ავიაგამანადგურებლები გააგრძელებენ რუსეთის მეზობელ და ნატო-ს წევრ ქვეყნებში პატრულირებას.

„ინტერპრესნიუსი“

სტიქიით დაზარალებული ოჯახების შვილები სასტუმრო „ანდამატში“ დაისვენებენ

საბურთალოს რაიონის გამგეობის ორგანიზებითა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ინიციატივით, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების შვილები ერთ კვირას შავი ზღვის სანაპიროზე, კურორტ გრიგოლეთში, სასტუმრო „ანდამატში“ გაატარებენ. პროექტის ბენეფიციარები რკინიგზის ცენტრალური სადგურიდან მშობლებმა და საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენლებმა გააცილეს.

სპეციალურად ამ პროექტისთვის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სკოლის პროფესორებმა შეიმუშავეს ფსიქო-თერაპიის პროგრამა „ემოციის მართვა“. აღნიშნული კურსი საქველმოქმედო აქციის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. 13-22 წლის ახალგაზრდების კომფორტული დასვენებისთვის სასტუმროში ყველანაირი პირობა იქნება შექმნილი. მოეწყობა სპორტული შეჯიბრებები, ექსკურსია აჭარის ღირშესანიშნაობების სანახავად და სხვა გასართობი ღონისძიებები. ერთკვირიანი კურსი 16 ივლისს დასრულდება. ახალგაზრდების ტრანსპორტირებას პროექტის ინიციატორები უზრუნველყოფენ. პროექტი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და საბურთალოს რაიონის გამგეობის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა.

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დიდი წმენდა „წყალკანალში“



უკავშირდება თუ არა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 225 თანამშრომლის გათავისუფლება 13-14 ივნისის ტრაგედიას?

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ათიოდე დღის წინ, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ 1 200 თანამშრომელი გაათავისუფლა. ერთ-ერთი ვერსიით, თანამშრომლების გათავისუფლება 13-14 ივნისის სტიქიურ უბედურებას უკავშირდება. სტიქიის შედეგად დაზიანებული საკანალიზაციო მილიდან წყალი მდინარე ვერეში ჩაედინებოდა, რამაც მოსახლეობაში ერთგვარი პანიკა შექმნა. მართალია, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სასმელი წყალი არ დაბინძურებულა და ხალხს პანიკისთვის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მაგრამ „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ თანამშრომლები შესაძლოა სწორედ ამ მიზეზით გაათავისუფლეს.

„ვერსიის“ წყარო გვიამბობს, რომ კომპანიის ფინანსური დეპარტამენტი თითქმის პარალიზებულია, რადგან ორიოდე თანამშრომლის გარდა, ამ დეპარტამენტში სხვა არავინ დაუტოვებიათ. ერთ-ერთი ვერსიით, იოსიც შესაძლოა, თანამშრომლების გათავისუფლება ფინანსურ მაქინაციებს უკავშირდებოდეს, მაგრამ ფაქტის გადამოწმების შემდეგ „ვერსიამ“ გაარკვია, რომ კომპანიას ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში, შინაგან საქმეთა ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ რამდენიმე თანამშრომელი ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს და დააკავეს კიდეც. გავრცელებული ინფორმაციით, თანამშრომლებმა თაღლითური სქემა შეიმუშავეს, ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი შექმნეს და წყალმომარაგების კომპანიის კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხა მიითვისეს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ამ სკანდალთან არავითარი კავშირი არ აქვს, რადგან მართალია, „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ საქართველოს მოსახლეობას სასმელი წყლით უზრუნველყოფს, ოღონდ თბილისის, რუსთავის, მცხეთისა და აჭარის მოსახლეობის გარდა, ამ ქალაქებსა და აჭარას სასმელ წყალს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აწვდის.

რა გახდა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ თანამშრომლების გათავისუფლების რეალური მიზეზი? „ვერსია“ კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებს დაუკავშირდა, რომლებმაც კონკრეტული კითხვების გადაგზავნა გვთხოვეს და ოპერატიულად გვიპასუხეს კიდეც.

— კონკრეტულად, რა მიზეზით გაათავისუფლეთ თქვენი კომპანიის თანამშრომლები და რა ჩაუწერეთ ბრძანებაში?

— კომპანიიდან გათავისუფლებულია 225 თანამშრომელი, რომლებთანაც ურთიერთობა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში შეწყდა. რეორგანიზაციის მიზანი ახალი კადრების მოზიდვაა. განსაკუთრებით ვცდილობთ, ახალგაზრდები დავაინტერესოთ, რომლებსაც ტრენინგებს ჩავუტარებთ და პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში დავეხმარებით. ბიზნეს-პროცესების ასამაღლებლად, კომპანიამ ივნისიდან აამოქმედა საზაფხულო სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამა, რომლითაც 100 ახალგაზრდის მოზიდვას აპირებს — პირველ ეტაპზე, სტაჟირების რეჟიმში, შემდგომში კი, კომპანიაში დასაქმების პერსპექტივით. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მთლიანად ითვალისწინებს მის წინაშე არსებულ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და სწორედ ამიტომ, პრიორიტეტს ანიჭებს ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების აღზრდას, რის განხორციელებასაც საკუთარი რესურსებით გეგმავს.

რაც შეეხება თანამშრომლების გათავისუფლებას, ამის მთავარი მიზეზი მათ საკონტროლო ტერიტორიაზე დარღვევების სიმრავლე და არადამაკმაყოფილებელი შედეგები გახდა. გათავისუფლებამდე ორმოცი დღით ადრე, თითოეულ მათგანს გადაეცა გაფრთხილების წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში, კომპანიაში საკადრო ცვლილებები იგეგმებოდა. ხელშეკრულების შეწყვეტა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, ამასთან, ყველამ მიიღო სათანადო კომპენსაცია.

— „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ამ თანამშრომლების გათავისუფლების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ თბილისის ტრაგედიის დროს, 13-14 ივნისის შემდეგ, სასმელ წყალს ფეკალური მასა შეერია, რის გამოც წყალი დაბინძურდა. ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას?

— აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარიც ზედმეტია, რადგან სასმელ წყალში საკანალიზაციო წყლები არ შერეულა.

— ერთ-ერთი ვერსიით, თანამშრომელთა გათავისუფლების მიზეზი ფინანსური მაქინაციებია, რის გამოც რამდენიმე თვის წინ, მაღალი თანამდებობის პირები დააკავეს. არც ამ ინფორმაციას ადასტურებთ?

— ვერ დავადასტურებთ. ეს ვერსია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ არცერთი მაღალი თანამდებობის პირი დაკავებული არ ყოფილა!

ზურაბ ჯაფარიძის 20/25 ბიძინა ივანიშვილის 20-30-ის წინააღმდეგ

მე-4 გვერდიდან

ვადასტურებ, რომ ოქრიაშვილთან მოლაპარაკებები ნამდვილად გვაქვს. შემიძლია ცალსახად გითხრათ, რომ არც კობა დავითაშვილთან, არც გიორგი გაჩეჩილაძესთან, ალასანიას გუნდთან, კოალიცია „ოცნებასთან“ და ნაციონალების უმცირესობის წევრებთან კონსულტაცია არ გვაქვს. მოლაპარაკება გვაქვს მხოლოდ ნაციონალებიდან წასულ ადამიანებთან. იმედია, სექტემბრამდე უკვე საპარლამენტო ფრაქციაც გვექნება. ვფიქრობ, მე მაქვს პოლიტიკური ხედვა, რომელიც ქვეყნის განვითარების ერთადერთი სწორი ვარიანტია. მე ვიცი, როგორ შეიძლება, საქართველო 10 წელიწადში პოლონეთივით განვითარდეს.

— ანუ, თქვენი ვარიანტი „20/25“-ია, ივანიშვილის „20/30“-ის წინააღმდეგ და როგორია ეს ხედვა?

— ასეც შეგიძლიათ უწოდოთ. არ ვიცი, ივანიშვილი 20-30-ში რას გულისხმობს, მაგრამ მე შემიძლია ძალიან კონკრეტული ნაბიჯები დავასახელო. პირველ რიგში, მთავრობის ხარჯები უნდა შემცირდეს. თუ დღეს ჩვენი ბიუჯეტი 9 მილიარდზე მეტია, იგი დაახლოებით 3 მილიარდითაა შესამცირებელი. თუმცა სახელმწიფო იგივე სოციალურ ხარჯს გასწევს, მაგრამ მისი მიზნობრიობა შეიცვლება. სახელმწიფო დაეხმარება მხოლოდ გაჭირვებულებს. საშუალო ფენა კი თავისით შეიქმნება. საშემოსავლო და მოგების გადასახადები გაუქმდება და საქართველო ყველაზე თავისუფალი ქვეყანა გახდება ბიზნესის საკეთებლად. მაგალითად, ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც სასწავლებელს დაამთავრებს, ბიზნესის დაწყებას შეძლებს.

— როგორ, კაპიტალსაც თქვენ მისცემთ?

— არა, მაგრამ ისეთი ბიზნესებიც არსებობს, რომელიც თავიდანვე კატიპალს არ საჭიროებს. გარდა ამისა, მათ სესხის აღებაც შეეძლებათ. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ არ ექნებათ პრობლემები სახელმწიფოსთან და არც დღგ-ს გადაიხდიან, სანამ მათი ბრუნვა 100 000-მდე არ ავა. თუ გვინდა ქვეყანა ძალიან სწრაფად განვითარდეს და ბევრი სამუშაო ადგილი შეიქმნას, ასეც უნდა მოვიქცეთ. ჩვენი ეკონომიკური ზრდის ტემპი წელიწადში 15% უნდა გახდეს. ვინც რა უნდა ილაპარაკოს, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო ძალიან დიდ ფულს ხარჯავს არამიზნობირვად, მაგალითად, პენსია არ უნდა აიღოს იმან, ვისაც ბინები აქვს გაქირავებული.

— უკაცრავად, რატომ? აწი, დეპუტატებმა არ აიღოთ ჩვეულებრივზე სამჯერ დიდი პენსია!

— იმან, ვისაც საკუთარი თავისა და სხვების შენახვა შეუძლია, სახელმწიფოსგან 150 ლარი არ უნდა აიღოს. ყოფილი დეპუტატი კი 400-ლარიან პენსიას საერთოდ არ უნდა იღებდეს, ეს ნონსენსია. არ მესმის, რატომ უნდა ჰქონდეთ ამხელა პენსია. აგერ, მესამე წელია პარლამენტში ვარ და ვერ ვხედავ, რომ ქვეყნის წინაშე, რომელიმე დეპუტატს, ჩემი ჩათვლით, რაიმე განსაკუთრებული წვლილი მიუძღვოდეს. ამაზე უფრო ინტენსიური მუშაობის რეჟიმიც მქონია და არა მგონია, დეპუტატები სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ პენსიას იმსახურებდნენ.

— ძალიან რადიკალური ხართ, ეკონომიკური ხედვაც ასეთივე გქონიათ და თან, ნახევარი პარლამენტი გადაიკიდეთ.

— ისედაც არ მგონია, ვუყვარდე. ერთი პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ — სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მხოლოდ გაჭირვებულს.

— და ჯერ მარტო ამის დათვლაში და კრიტერიუმების დადგენაში რამდენი დრო და ფული უნდა დახარჯოთ?

— ამაში უნდა დაიხარჯოს დაახლოებით 3 მილიონი ლარი და ამის გაკეთება შესაძლებელია დაახლოებით 6 თვეში.

— მაშინ **ისიც დათვლილი გექნებათ, რამდენი ადამიანი გამოთქვამს ჯარში წასვლის სურვილს, თქვენი კიდევ ერთი იდეა, სავალდებულო რეზერვის გაუქმების შესახებ, რეალობაში რომ გატარდეს და საერთოდ, რეზერვის გარეშე ხომ არ დავრჩებით?**

— კონკრეტული რიცხვი არ მაქვს, მაგრამ საკმარისად არიან ისეთები, ვინც მზადაა, საკუთარი ცხოვრება სამხედრო სამსახურს დაუკავშიროს. მეორე საკითხი ისაა, სახელმწიფოს რამდენად შეუძლია, ასეთ ადამიანებს გადაუხადოს. არ შეიძლება, ქვეყანა ახალგაზრდებს ისე ექცეოდეს, თითქოს მათ საკუთარი ნება არ გააჩნიათ. ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ახალგაზრდა არ უნდა მოხიკო და უფასო მუშახელად არ უნდა წაიყვანო. იანვარში გაცემული დადგენილებით, დაახლოებით 3 000 ადამიანია გაწვეული და აქედან სამხედრო სამსახურში მხოლოდ 500 ადამიანი წაიყვანეს, დანარჩენი კი დაცვად დააყენეს სასჯელაღსრულებისა და სხვა დაწესებულებებში. არ მაქვს ილუზია, რომ ნატოს წევრი თუ გავხდით, საკუთარ თავდაცვას ყურადღება აღარ მივაქციოთ. უბრალოდ, უნდა შექმნათ თავდაცვის სისტემა — პროფესიული არმია და ნებაყოფლობითი რეზერვი. სავალდებილო გაწვევა კი, უბრალოდ, ფულის ფლანგვაა.

— და ამ გეგმებით რა შედეგს დადებთ 2016-ში, ბარიერის გადალახვის ამბიცია გაქვთ?

— რომ გითხრათ, არჩევნებს მოვიგებთ-მეთქი, არასერიოზული იქნება. თუმცა არამხოლოდ ბარიერის გადალახვის, არამედ სერიოზული შედეგის ჩვენების ამბიცია მაქვს.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი ირაკლი მირუაშვილი დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ირაკლი მირუაშვილმა, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, მოქალაქეს უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პირდაპირი წესით იჯარით გადაცემაში დახმარებას სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 13 000 ლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

საფრთხე, რომელიც საზღვარგარეთ დასაქმების მსურველებს ემუქრება

უცხოეთში დასაქმების სააგენტოებს საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს

51 წლის ლალი, პროფესიით ექთანია. სამსახური ვერაფრით იშოვა — ხან ასაკს უწუნებენ, ხან კვალიფიკაციას. ფიქრობს, რომ მისი ერთადერთი გამოსავალი საზღვარგარეთ გამგზავრებაა. შარშან, თურქეთში მომვლელად მუშაობისას, ქართველმა დამსაქმებელმა 500 დოლარად სამუშაო ვიზის გაკეთება შესთავაზა. აქ დარჩენას ხანგრძლივი დროით და ლეგალურად შეძლებო, თუმცა 3 თვის შემდეგ ლალი საქართველოში იმედგაცრუებული და მოტყუებული დაბრუნდა — თანხა გამოართვეს, მაგრამ ვიზა არ გაუკეთეს. ახლა ევროპისკენ მიუწევს გული. ამბობს, იქ მსგავსი რამ არ შემემთხვევაო, თუმცა სანდო დამსაქმებელი დღემდე ვერ იპოვა: **„ისეთი სამსახურის პოვნა მინდა, სადაც დამსაქმებელი სამუშაო ვიზას მომცემს და ქუჩაში გასვლის, ხალხთან ურთიერთობის არ შემეშინდება. ის სააგენტოები, რომლებიც შენგენის ვიზას და დასაქმებას მპირდებიან, მომსახურებაში 2000-2500 ევროს მთხოვენ. ეს თანხა ჩემთვის ძალიან ბევრია. თან გაუგებარია ამხელა ფულს რისთვის მთხოვენ, გარანტიებს მაინც ვერ იძლევიან. ადგილზე ჩასვლის შემდეგ უკან რომ გამომიშვან პასუხი ვის მოვთხოვო? სააგენტოებში მეუბნებიან, ჩვენ კი დაგასაქმებთ, მაგრამ დანარჩენს შენ უნდა მიხედოო. „დანარჩენში“ ყველაზე მთავარი — საბუთების მოწესრიგება იგულისხმება. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვხვდები, საბუთებს ვერ გიკეთებენ. რამდენიმე თვეა სანდო დამსაქმებელს ვეძებ, მაგრამ ჯერ არავინ შემხვედრია“.**

საინტერესოა რა სერვისს სთავაზობენ დღეს ე.წ. დამსაქმებლები საზღვარგარეთ სამსახურის მაძიებლებს? ვისთან თანამშრომლობენ, არის თუ არა მათი საქმიანობა კანონიერი და უნდა ვენდოთ თუ არა მათ?

Google-ის საძიებო სისტემაში ე.წ. დამსაქმებლები მართლაც მრავლად არიან. ნახავთ როგორც კერძო პირებს, ასევე მცირე თუ დიდ კომპანიებს. უცხოეთში წასვლის მსურველებს სხვადასხვა სახის სამსახურს მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ წერტილში სთავაზობენ, აზიის ქვეყნები გსურთ, თუ ევროპის.

პირობების გასარკვევად რამდენიმე მათგანს დავუკავშირდით. მათი სერვისის საფასური ქვეყნის მიხედვით განსხვავდება. 100 დოლარიდან იწყება და რიგ შემთხვევებში 2000 ევროსაც კი სცდება. განსხვავებულია ხელფასიც და დასაქმების პირობებიც. ყველა სააგენტო მომსახურების თანხას წინასწარ იღებს. იმ შემთხვევაში, თუ სამსახურის მაძიებელმა ვერ მოიპოვა ვიზა, თანხის დიდ ნაწილს კარგავს. რაც შეეხება უსაფრთხოებას, ჩვენს მიერ გამოკითხული დამსაქმებლები თავდაპირველად ამბობდნენ, რომ ეს გარანტირებული იყო, თუმცა როდესაც საქმე კონკრეტულ პირობებზე მიდგებოდა უკან იხევდნენ. გარანტად სიტყვას, ფიცს და „კარგ ადამიანობას“ გვთავაზობდნენ. დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი სამუშაო, ანაზღაურება, დასვენების დღეები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები, არ არსებობს. „ვერსია“ რამდენიმე „დამსაქმებელს“ ესაუბრა:

„ჩვენი სააგენტო ქალბატონებს ქურთისტანის დედაქალაქ ერბილში ასაქმებს. ადრე ქათმების ფერმაში ვასაქმებდით, თუმცა ახლა ეს პროგრამა აღარ გვაქვს. თუ სურვილი გაქვთ შეგვიძლია დაგასაქმოთ საუკეთესო რესტორანში მიმტანად. თბილისელები მუშაობენ იქ. მენეჯერი ძალიან კარგი ქალბატონია. ანაზღაურება 600-700 დოლარია. საცხოვრებელი — უფასო. საემიგრაციო საბუთებიც წესრიგდება. ვიზაც და გზის ხარჯებიც (500 დოლარი) ჩვენს მომსახურეობაში შედის. ვიზა დაახლოებით ერთ კვირაში გაკეთდება. საელჩოში შესვლა არ დაგჭირდებათ. ვიზას მე მოგცემთ პასპორტთან ერთად. იქიდან გამომიგზავნიან ელექტრონულ ვერსიას. თქვენ ამობეჭდავთ ამას და აჩვენებთ თვითმფრინავში. ყველაფერი მოგვარებულია. თქვენგან მხოლოდ პასპორტის მონაცემები მჭირდება. დამერწმუნეთ, ეს ყველაფერი კეთდება კანონიერად და ლეგალურად. იქ ჩიტიც ვერ შეფრინდება ისე, რომ მის უკან პასუხისმგებელი პირი არ იდგეს. თქვენს შემთხვევაში პასუხისმგებელი მე ვარ. იქ რამე რომ დააშავოთ, მე მისაყვედურებენ, ამიტომ ჩემს მიერ გაგზავნილ ადამიანს ყოველდღე ვაკონტროლებ. მაქვს ჩემი კომპანია „ეარლაინ ჯორჯია“. თვითმფრინავები გვაქვს ნაქირავები „აირზენადან“ და ტურისტები ქურთისტანისა და საქართველოს მიმართულებით გადაგვყავს. მთავარი მენეჯერი ვარ. ჩემი კარგო, ყველას არ ენდობიან. აეროპორტთანაც მაქვს ურთიერთობა. უკმაყოფილო ხალხი არ მყავს“.

„ჩემი სააგენტო თურქეთში 25-55 წლის ქალბატონებს ასაქმებს ძიძად, მომვლელად, დამლაგებლად... ზოგჯერ, ქარხნებშიც, ტყავისა და რძის საწარმოებშიც გვაქვს ვაკანტური ადგილები. ანაზღაურება საშუალოდ 450 დოლარიდან იწყება. ქარხნებში ხელფასი 500 დოლარია. ოჯახებში ზოგ შემთხვევაში — მეტი. ჩვენი მომსახურება ჯამში 200 დოლარამდე ღირს. სამუშაო ვიზასაც ჩვენ გაძლევთ, ოჯახთან და ადგილობრივ საემიგრაციო სამსახურებთან თანამშრომლობის შედეგად. უკანონო არაფერია. ყველაფერი ლეგალურია. გარანტიას გაძლევთ. ოფისი გვაქვს და არსად გაქცევას არ ვაპირებთ. ვისაც ჩვენ ვუშვებთ ისინი დაცულები არიან“.

„ჩვენი სააგენტო უცხოეთში წასვლის მსურველებს მხოლოდ პოლონეთში ასაქმებს. ანაზღაურება 350 ევროდან იწყება. მსურველი თავად უნდა მობრძანდეს ოფისში, გაიაროს გასაუბრება და თუ შეირჩევა, დავიწყებთ პროცედურებს. ჩვენი მომსახურება ფასიანია, თუმცა სატელეფონო კონსულტაციებს არ ვიძლევით. ყველაფერი კანონიერად კეთდება. კონტაქტი გვაქვს ემიგრაციის სამსახურთან. სამუშაო ვიზის მიღება საკონსულოში ხდება. გარანტია, რომ ვიზას მიიღებთ, რა თქმა უნდა, არ არსებობს. თუ გამგზავრების მსურველი საკონსულოში ვიზას არ მიიღებს, ჩვენი მომსახურების თანხა უკან უბრუნდება, სამასი ევროს გარდა. კონკრეტულად რა ღირს ჩვენი მომსახურება, ვერ გეტყვით. ოფისში უნდა მობრძანდეთ, დეტალები გავარკვიოთ და შემდეგ მოგახსენებთ“.

იმის გასარკვევად, არის თუ არა ე.წ. დამსაქმებლების საქმიანობა კანონიერი, რა მექანიზმით რეგულირდება, რა უნდა გაითვალისწინოს სამსახურის მაძიებელმა, რომ მოტყუებული არ დარჩეს და რა აუცილებელი პირობა უნდა ჩადოს დამსაქმებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (არსებობის შემთხვევაში), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატს **მაია ხუციშვილს** დავუკავშირდით.

— თბილისში დღეს უამრავი სააგენტოა, რომელიც უცხოეთში წასვლის მსურველებს დასაქმებას პირდება. ზოგი მართლაც ასაქმებს, ზოგი კი — იტყუება. როგორ არეგულირებს სახელმწიფო მათ საქმიანობას და არის თუ არა მათი „შუამდგომლობა“ კანონიერი?

— როგორც თქვენ უწოდებთ „შუამდგომლობა“, რა თქმა უნდა, დასაშვებია და უკანონო არ არის. საქმე ისაა, ნამდვილად ასრულებენ თუ არა დამსაქმებლები დაკისრებულ მოვალეობებს? შეიძლება მე დაგპირდეთ სამსახურს და ამისთვის თანხაც გამოგართვათ, მაგრამ პირობა არ შევასრულო. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა დასჯადია, თუმცა თუ შპს ან ფიზიკური პირი ოფიციალურად დარეგისტრირებულია და ასე ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ამ კუთხით მისი საქმიანობის სფერო არ იზღუდება. მაგალითად, უცხოეთში წამსვლელებს, ხშირად დამსაქმებელი პირდება, რომ მას იქ დახვდებიან. ხელშეკრულებაში იმის ჩადება, რომ დამსაქმებელი მას ნამდვილად დახვდება, აბსტრაქტული გარანტიაა. ანუ, ჩვენ არ გვექნება არანაირი მექანიზმი, დამსაქმებელს ეს ვალდებულება შევასრულებინოთ. კანონმდებლობაში ამის რეგულაციები არ არსებობს. მხოლოდ ზოგადი ნორმებია. საზღვარგარეთ დასაქმების ხელშეკრულება ჩვენი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. ერთადერთი გარანტია დამსაქმებლის გადამოწმებაა. ამისათვის ყველაზე მარტივი გზა სოციალური ქსელია. შეგვიძლია ვნახოთ, ნამდვილად არსებობს თუ არა დამსაქმებელი კომპანია, რა წარსული აქვს, რა გამოხმაურება და ა.შ.

— დამსაქმებელთან ხელშეკრულების გაფორმების დროს რა უნდა გაითვალისწინოს სამსახურის მაძიებელმა, რომ თავი დაცულად იგრძნოს?

— ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტი უნდა იყოს ლეგალიზებული. ასეც რომ არ იყოს, როგორც გითხარით, ინტერნეტი იძლევა საშუალებას, მოვძებნოთ ესა თუ ის კომპანია, მოვიძიოთ მის შესახებ ინფორმაცია და დავუკავშირდეთ „მეილზე“. მე, როგორც იურისტს, ვერ წარმომიდგენია, ხელშეკრულებაში იყოს ჩადებული ასეთი დეტალები. მსგავსი დეტალების ხელშეკრულებაში ჩადება არ გვეზღუდება, მაგრამ თუ ეს არ შესრულდა, არანაირი მექანიზმი არ გვაქვს, დამსაქმებელს ამ პირობების შესრულება ვაიძულოთ.

— უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დაცულია ადამიანი, რომელსაც ესპანეთში, იტალიაში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, მაგალითად მომვლელად წასვლა უნდა? რა აუცილებელი პირობა უნდა ჩადოს მან დამსაქმებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში?

— ამას ვერ გეტყვით. ეს დამოკიდებულია იმ კონკრეტული სახელწიფოს შრომით კანონმდებლობაზე, სადაც მსურველი მიდის.

ვერსიანიუსი

ხორვატიაში დაგეგმილ ფორუმზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი განიხილება

9-11 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თამარ ბერუჩაშვილი ხორვატიაში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო, მაღალი დონის ყოველწლიურ ფორუმში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის, დავით კერესელიძის განმარტებით, მინისტრი სიტყვით გამოვა პანელზე „საგარეო, უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკა: ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება“: **„ხორვატიის ფორუმი წელს მაღალი წარმომადგენლობითი ხასიათისაა. მას ესწრებიან სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, ევროკავშირის უმაღლესი პირები. ფორუმის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გამართავს ორმხრივ შეხვედრებს, როგორც თავის ხორვატ კოლეგასთან, ასევე სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებთან. შეხვედრაზე განიხილავენ, როგორც ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს, ასევე, რეგიონში არსებულ ვითარებას, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას“.**

„პირველი“

ეკა ზღულაძე შესაძლოა საპატრულო პოლიციის უფროსად დაინიშნოს

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის არსენ ავაკოვის ინფორმაციით, მისმა მოადგილემ ეკა ზღულაძემ შესაძლოა ახალ საპატრულო სამსახურს უხელმძღვანელოს: **„ჩემი აზრით, ლოგიკური იქნება, თუ საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელის თანამდებობას ეკა ზღულაძე დაიკავებს. თუმცა ამის გარდა, არის კიდევ სხვა ფაქტორები — მისი სურვილი და ის, რომ შესაძლოა, მისი ცოდნა ჩვენ სხვა რეფორმებისთვის გამოვიყენოთ. საკითხი განხილვის პროცესშია. გადაწყვეტილებას 3 თვეში მივიღებთ. გადაწყვეტილება ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ, იმ დროს გახდება ცნობილი, როცა სიტყვა „მილიცია“ დავიწყებას მიეცემა“.**

2 ივლისს უკრაინის რადამ მიიღო კანონი ნაციონალური პოლიციის შესახებ, თუმცა პრეზიდენტ პოროშენკოს კანონისთვის ხელი ჯერ არ მოუწერია. დოკუმენტის მიხედვით, ახალმა პოლიციამ ძველი მილიცია უნდა ჩაანაცვლოს. ამასთან, ახალი საპატრულო პოლიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარება. აღნიშნული კანონი ძალაში პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ხელმოწერის შემდეგ შევა.

ეკა ზღულაძე უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გასული წლის ბოლოს დაინიშნა. ის უკრაინაში პოლიციის რეფორმის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ ავსტრიის საპატიო კონსულ ევა ბერგერთან

„მაღე საქართველოში ავსტრიის საელჩო გაიხსნება“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ავსტრიის რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ (პარლამენტმა), 8 ივლისს, პლენარულ სხდომაზე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რატიფიცირების საკითხზე მომხსენებელი ავსტრიის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი კლაუდია დურხშლაგი (ავსტრიის სახალხო პარტია ÖVP) იყო. რატიფიცირების პროცესს ავსტრიის რესპუბლიკის ევროპის, ინტეგრაციის და საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი სებასტიან კურციც დაესწრო. კურცმა გამოსვლაში ხაზი გაუსვა საქართველოსთან ავსტრიის თანამშრომლობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ საქართველოსთან ხელმოწერილ ასოცირების შეთანხმებას ეს ურთიერთობები თვისობრივად მაღალ დონეზე აჰყავს. საქართველო-ავსტრიის ურთიერთობებსა და ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერაზე „ვერსიას“ საქართველოში ამ ქვეყნის საპატიო კონსულიც ესაუბრება.

ევა ბერგერი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ჩვენ ქვეყანაში საპატიო კონსულის სტატუსი მიიღო. ავსტრიელისთვის დამახასიათებელი გარეგნობის ქალბატონი, გაწონასწორებული ნატურაა. ამბობს, რომ ნოსტალგია ნაკლებად აწუხებს და აქაურობას საოცრად შეეჩვია. ევა ბერგერი „ვერსიას“ ქართულ-ავსტრიული ურთიერთობების დეტალებსაც უმხელს და ექსკლუზიურად იმის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას, რომ შესაძლოა, მალე, საქართველოში, ავსტრიული მხარის დახმარებითა და თანადაფინანსებით, ტურიზმის სკოლა გაიხსნას.

— როდის ჩამობრძანდით საქართველოში?

— 1998 წელს ავსტრიის ავიახაზებში ვმუშაობდი. მალე, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მთხოვეს, რომ საპატიო კონსულის პოსტიც დამეკავებინა, რადგან მაშინ ავსტრიის საელჩო არც ბაქოში იყო. ასე გავხდი ჩემი ქვეყნის საპატიო კონსული საქართველოში 1999 წელს.

— რა არის თქვენი უმთავრესი მოვალეობები კონსულის რანგში?

— პირველ რიგში, ყველაზე მთავარია ორმხრივი ურთიერთობები — ამ ეტაპზე, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. ამჟამად, ფინანსთა, განათლებისა და ეკონომიკის სამინისტროებთან ერთად მჭიდროდ ვმუშაობთ, რომ ავსტრიის მთავრობის დახმარებით, ტურიზმის სკოლა გავხსნათ. დღეს ეს არის ჩვენი უდიდესი პროექტი. თუ საქართველოდან თანხმობა იქნება, ავსტრია ამ სკოლას ნაწილობრივ დააფინანსებს, მისი მასწავლებლები კი ტრენინგებს ავსტრიაში გაივლიან. ამ ეტაპზე მოლაპარაკების პროცესში ვართ. ამ ინფორმაციას თქვენი გაზეთის საშუალებით პირველად ვავრცელებ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის გახსნა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. უბრალოდ, ეს ჩვენი შემოთავაზებაა და ახლა ჯერი ქართულ მხარეზეა.

საკმაოდ მჭიდროა კავშირები განათლების სფეროში. ბევრი ქართველი სტუდენტი სწავლობს სხვადასხვა ფაკულტეტზე ავსტრიის უნივერსიტეტებში. ზოგი სწავლის საფასურს იხდის, ზოგსაც სტიპენდია აქვს. როგორც წესი, ისინი ჯერ ავსტრიაში ჩადიან, ტესტირებას გადიან. თუ დასტური მოუვათ, მერე ჩავლენ ბაქოში, სადაც არის ავსტრიის საელჩო, რომელიც მათთვის საჭირო ერთწლიან ვიზას გასცემს სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლებლად.

— ეკონომიკური კავშირიც ახსენეთ. კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— თბილისში არსებობს ავსტრიის ეკონომიკური სააგენტო. გარდა ამისა, იმ ინვესტორებს, რომელთაც საქართველოში კაპიტალის დაბანდება სურთ, ვეხმარებით ინფორმაციის შეგროვებაში, ბიზნეს-კლიმატის გაცნობაში.

— რას ამბობენ ავსტრიელი ინვესტორები — გაუმჯობესდა თუ არა ბიზნეს-გარემო საქართველოში?

— ბევრი ამ პროექტთაგანი გრძელვადიანია და დიდი ხნის წინ დაიწყო. მაგალითად, ჰიდრო-ელექტროსადგურის მშენებლობა გუდაურში, ავსტრიელების ერთ-ერთი უდიდესი პროექტია, ისევე როგორც, „გებრუდერ ვაისის“ ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ცენტრის გახსნა. შეიძლება ითქვას, ბიზნეს-კლიმატი მაინც გაუმჯობესებისკენ წავიდა. მეტი სანდოობაა. როცა გაქვს კარგი საინვესტიციო იდეა და სთავაზობ, დროში ისე აღარ იწელება, როგორც წლების წინ. შეიძლება, ქვეყნის მოქალაქეებისთვის პროგრესი ერთი შეხედვით არაა შესამჩნევი. არადა, ვადასტურებ, რომ ნელი ტემპით, მაგრამ მაინც, ბიზნესი ვითარდება.

— თბილისში ოჯახთან ერთად ცხოვრობთ?

— არა. მარტო ვცხოვრობ. ჩემი ერთადერთი ქალიშვილი კი ვენაში ცხოვრობს. მალე ჩამოვა ორი კვირით და ბათუმში ერთად დავისვენებთ. ძალიან მივეჩვიე აქაურობას. 17 წელი დიდი დროა. დღეს ჩემი მთავარი საცხოვრებელი ადგილი სწორედ საქართველოა. ავსტრია ჩემი სამშობლოა, მაგრამ ჩემი ინტერესები თავს თბილისში იყრის.

— ნოსტალგია არ გაწუხებთ?

— არა. სხვათაშორის, არც თავიდან გამჭირვებია. მაშინ ძალიან დაკავებული ვიყავი და ალბათ ნოსტალგიისთვის დრო არ მრჩებოდა (იცინის). თანაც, ხშირად დავდიოდი ავსტრიაში. წელიწადნახევრის წინ ფეხი მოვიტეხე და მიუხედავად იმისა, რომ დრო გავიდა, ისე მარტივად ვეღარ ვმგზავრობ. რთული შემთხვევა იყო. 6 თვე წოლითი რეჟიმი მქონდა. ოპერაცია საქართველოში გავიკეთე. ასე რომ, ქართველებს ყველა მიმართულებით ნდობას ვუცხადებ!

— როგორია თქვენი ერთი სამუშაო დღე?

— თუ ვიზიტორები მყავს, 9 საათზე იწყება და გვიან საღამოს მთავრდება. თუ დელეგაცია არ არის, საკმაოდ დასვენებული ვარ და თავისუფალი დროც, საკმაოდ მაქვს.

— და როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

— მაქვს საყვარელი ბაღი, სადაც ყვავილებს ვუვლი. ასევე, მომყავს პომიდორი. პატარა ეზო ავსტრიაშიც მქონდა. მიყვარს სიწყნარე, სიმყუდროვე და სტუმრებიც. ხშირად სადილზე ან სხვადასხვა ღონისძიებაზე მიწევს წასვლა საელჩოების, ორგანიზაციებისა თუ კომპანიების მოწვევით.

— შესაძლებელია საქართველოში ავსტრიის საელჩო მალე გაიხსნას?

— დიახ. არც ისე დიდი ხნის წინ გამოცხადდა ავსტრიაში, რომ საქართველოში დიპლომატიური კორპუსი 2016-2017 წელს გაიხსნება. ავსტრიაში კი საქართველოს საელჩო უკვე დიდი ხანია ფუნქციონირებს.

— ფრენებთან დაკავშირებით არის სიახლე?

— ავსტრიის ვიზის მიღების მსურველებმა შვეიცარიის საელჩოს უნდა მიმართონ. ავსტრიის ავიახაზები კი დაიხურა, მაგრამ საქართველოს ავიახაზები ვენაში კვირაში ორჯერ დაფრინავს. ასე რომ, პირდაპირი რეისები რეგულარულად სრულდება.

ალჟირის ქალაქ გარდაიაში შეტაკებების დროს 22 ადამიანი დაიღუპა

ალჟირის ქალაქ გარდაიაში არაბებსა და ეთნიკურ ბერბერებს შორის შეტაკების შედეგად სულ მცირე 22 ადამიანი დაიღუპა. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ორ ეთნიკურ ხალხს შორის ალჟირში, ბოლო ორი წელია ურთიერთობა განსაკუთრებულად დაძაბულია. მათი დაპირისპირების მიზეზი სამუშაო ადგილები და მიწებია. თუმცა, 8 ივლისს მომხდარი შეტაკება ყველაზე მწვავე იყო.

ალჟირის პრეზიდენტმა, აბდელაზიზ ბუტეფლიკამ მომხდარის გამო მთავრობის საგანგებო სხდომა მოიწვია. შინაგან საქმეთა მინისტრი კი დაპირისპირების ადგილას ჩავიდა.

ბერბერების ლიდერის შეფასებით: „ვითარება სერიოზულია. ეს მხოლოდ შეტაკება არ არის, ეს არის ტერორიზმი“.

„ინტერპრესნიუსი“

საბერძნეთში ბანკები 13 ივლისამდე დაკეტილი იქნება

საბერძნეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქვეყნის მასშტაბით ბანკები ორშაბათამდე დაკეტილი იქნება. 13 ივლისამდე იმოქმედებს ასევე ბანკომატებიდან თანხის გატანაზე 60 ევროს ოდენობის ლიმიტი.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ამის მიზეზი ათენსა და საერთაშორისო კრედიტორებს შორის შეუთანხმებლობაა. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ბერძნულ ფინანსურ ინსტიტუტებს დახმარება მანამდე შეუწყვიტა, სანამ საბერძნეთი ევროზონასთან შეთანხმებას არ მიაღწევს.

12 ივლისს, ევროკავშირის მორიგი სამიტი გაიმართება, რომელზეც მხარეებმა საბოლოო შეთანხმების მიღწევა უნდა შეძლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბერძნეთი ფულის გარეშე დარჩება.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, დონალდ ტუსკის განცხადებით, ევროზონის ისტორიაში ახლა ყველაზე მძიმე ეტაპია. საბერძნეთს კრედიტორებმა – ევროკომისიამ, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა — ორი ფინანსური პაკეტის სახით 200 მილიარდ ევროზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

30 ივნისამდე, ათენს სავალუტო ფონდისთვის 1,6 მილიარდი ევროს ოდენობის ვალი უნდა გადაეხადა, თუმცა ვერ შეძლო, რასაც კრიზისის გამწვავება მოჰყვა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

აშშ-ის სპეცსამსახურები ანგელა მერკელს და სხვა გერმანელ მაღალჩინოსნებს წლების განმავლობაში უსმენდნენ

„გარდიანის“ ცნობით, „ვიკილიქსი“ იტყობინება, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები ანგელა მერკელსა და სხვა გერმანელ მაღალჩინოსნებს წლების განმავლობაში უსმენდნენ.

გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ ამერიკული სამსახურები ანგელა მერკელის მრჩევლებისა და ყოფილი ლიდერების — გერჰარდ შროდერის და ჰელმუტ კოლის სატელეფონო საუბრებსაც ისმენდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანიის მთავრობაში კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

„ვიკილიქსის“ მიერ, დაახლოებით ორი კვირის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სამსახური 2006-2012 წლებში ფრანსუა ოლანდისა და მისი ორი წინამორბედის — ნიკოლა სარკოზისა და ჟაკ შირაკის სატელეფონო საუბრებსაც ისმენდა.

„ინტერპრესნიუსი“

„ფული თუ გაქვს, ყველაფერი მოსულა“

რა ხდება დღეს საქართველოს ციხეებში, ვის წერენ წერილებს და რატომ იხოცებიან პატიმრები

პატიმარი №0578

ქართული ციხე თითქოს დაწყნარდა. უფრო სწორად, არავინ ჩივის, რომ პატიმრებს აწამებენ, სცემენ, რომ გლდანის ციხეში ჯოჯოხეთია. რა ხდება რეალურად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ისევ არსებობს თუ არა „მაყურებლების“ ინსტიტუტი, როგორ იქცევიან ოფიცრები, არის თუ არა ნორმალური კვება, ახლა შეიტყობთ.

ერთი კვირის წინ, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან ქუთაისელი პატიმარი გათავისუფლდა. გაგამ გისოსებს მიღმა რვა წელი გაატარა და შესაბამისად, ძველიც ნახა, ახალიც და ახლა იმას ამბობს, საქართველოში ცხოვრება არ ღირსო...

„რა უნდა გითხრა ძამია, ადრე რაც იყო, ქე იცი შენც. რომ გითხრა, ახლა სამოთხეა-თქო, მოგატყუებ, მაგრამ უსამართლოდ და გასართობად აღარავინ გიტყაპუნებს და საქმეა ესეც“...

„ანუ, ცემა-ტყეპა მაინც არის?!“

„არის რომელია? შენი ნათესავი რომ არის მაღალ თანამდებობაზე, კი იცი შენ, ვისზეც გეუბნები, მწარე ხელი აქვსო, გლდანიდან მოყვანილი პატიმრები ჩივიან, მაგრამ რამდენსაც მოვაყოლე, უსამართლოდ არავის მოქცევია, ყველამ დაიმსახურა. ციხეში კი არა, ხანდახან გარეთ გაგაბრაზებს კაცი და თავს ვერ შეიკავებ. კარანტინის დაშლისას არის წამორტყმა, მაგრამ რომ ასიკვდილებდნენ, ისე აღარ არისო, ყველა ამბობს“...

„ბალანდას ისევ ისეთი გემო აქვს?!“

„არა, მარილი დაუმატეს საჭმელში და ცოტა არა უშავს. ბალანდას რა შეუცვლის გემოს, იგივე ნაგავია და ასე იქნება მუდამ. შენც ხომ იცი, მწვადი რომ მოგიტანონ ზონაზე, მაინც არ აქვს ისეთი გემო და...“

„და მაცქერლებზე მითხარი ახლა...“

„არიან ისევ გაწყვეტამდე. ზონა, რეგიონები, ტელეფონები, „ბალნიჩკა“, დიდი გრევი, პატარა გრევი... საბედნიეროდ, ფული ისევ არ ტრიალებს და სისხლს ვერ წოვენ პატიმრებს, თუმცა სიგარეტი და ჩაი, იცოცხლე. მეტი თავისუფლებაა აშკარად, მაგრამ კარგი გაქექილია ეს მინისტრი, სადაც ძალიან მოეშვება სიტუაცია, მაშინვე რეჟიმს ამკაცრებს და მთავარი „პალაჟენეცი“ თვითონ არის, რა. ისე კი, გადასვლა და გადმოსვლა სხვა ზონაზე მოსულა. საქმის გასარჩევადაც კი დადის ხალხი იქეთ-აქეთ. ერთ ამბავს გეტყვი... ამას წინათ ერთი პატიმარი დაიჭირეს და გეგუთში მიაბრძანეს. თურმე მეორე პატიმარს იმასთან რაღაც პრეტენზიები ჰქონია. გააკეთებინა ექიმს რაღაც ცნობა, ჰაერი უნდა გამოიცვალოსო და წავიდა გეგუთში რუსთავიდან. გაჩერდა იქ ორი კვირა, არ მომიხდაო ჰაერი და დაბრუნდა ისევ რუსთავში. ყველაზე საინტერესო იცი რა არის? თავი რომ მართალი ეგონა, გაამტყუნეს ეს უბედური და კარგადაც გალახეს. ჰოდა, მთელი „სროკი“ იმას ვეუბნებოდი, თუ ცემა მოგენატრება, მე მითხარი, მაგისთვის გეგუთში არ იარო-თქო...“

„ცნობილ ქალებს ისევ წერენ პატიმრები წერილებს და სიყვარულს ისევ უხსნიან? მახსოვს, ასათიანი, გრიგოლია, დილის გადაცემის წამყვანები... შეკლული ჰყავდათ და ყველა სიყვარულს ეფიცებოდა...“

„ეჰ, ჩამორჩი შენ დროს ძამიკო, ჩამორჩი. ახლა ინგლისური იცის ხალხმა და ჩალიჩი მიდის, ვინ ბიონსეს მისამართს ეძებს და ვინ კიდევ ლედი გაგასი. წერენ მერე წერილებს, ათარგმნინებენ იმ პატიმრებს, ვინც ინგლისური იცის და დაზღვეული წერილით უშვებენ. ხომ წარმოგიდგენია, შაკირა რომ წაიკითხავს ვიღაც ქუთაისელი ჭიჭიკიას მიწერილ წერილს, „ბარსელონას“ ფეხბურთელს პიკე ჰქვია მგონი, თავი დაანებე, საქართველოში რომ ჩამოხვალ სუპერთასზე „ბარსას“ საგულშემატკივროდ, მე დაგხვდები და გამომყევი ცოლადო, რა დაემართება?! ერთმა მისწერა ლედი გაგას, „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხე და მიხვდები, რომელი ქვეყნის შვილი ვარო. არადა, „ვეფხისტყაოსანი“ ასე არ იწყება — იყო არაბეთს როსტევანო... შეიხი ეგონება ლედი გაგას უეჭველი...

ჰო, ქეთი მელუას მისწერა ერთმა მეგრელმა, მეგრულად აუხსნა სიყვარული და ბოლოს მიაწერა, თუ ვერ შემიყვარებ, ბარათზე ცოტა ფული მაინც ჩამირიცხეო. სასაცილოდ არ ეყოთ ვიღაცებს და დაუჯდა ამ ბიჭს ბარათზე ერთ დღეს ასი დოლარის ექვივალენტი ლარებში და გადაირია სიხარულით, ყველას ეუბნებოდა, ყველას უყვებოდა. ნახევარი ზონა დაჯდა მელუასთვის სიყვარულის ასახსნელად და... კი გახსოვს შენ პროფესორი რომ იჯდა წამალზე, ლიანდაგივით „სროკი“ რომ ჰქონდა, ერთ-ერთი კლინიკის მეწილე... იმან თქვა მერე, მაინტერესებდა, ადამიანების იდიოტიზმს საზღვარი აქვს თუ არა და ამიტომ მე ჩავრიცხე ის ასი დოლარი. მაინტერესებდა, დაიჯერებდა თუ არა და ისიც დავადგინე, რომ იდიოტიზმი კოსმოსივით არის, უსაზღვროაო. მაგით მორჩა მელუას ამბავი, მაგრამ უკეთესიც მოხდა და თუ არ დაგღალე, მოგიყვები იმასაც...“

„მიდი, არ მოგერიდოს...“

„ამერიკის ელჩს მისწერა ერთმა წერილი. ჯერ ხომ ამერიკის დემოკრატია მიმოიხილა, მერე საქართველოს ცივილიზაციას გადმოსწვდა და მერე დაწერა, ჩვენ თქვენზე კულტურული და დიდი ისტორიის ერი ვართ, თუმცა ნამდვილი დემოკრატია ამერიკელებმა შექმნეს, ამერიკა კი კრიმინალებმა დაარსეს და ააშენეს, ესეც ფაქტიაო. ჰოდა, ბატონო რიჩარდ, რეკომენდაციით მიმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, კრიმინალებს მისცენ უფლება ქვეყნის მშენებლობაში წვლილი შეიტანონ, თანამდებობებზე დაინიშნონ და კონსტიტუცია თუ კანონები ისე გადაწერონ, როგორც ესმით და როგორც სწორად მიაჩნიათო. გაუგზავნა ეს წერილი ნორლანდს და მერე, მის ყოველ გამოჩენაზე ტელევიზორს უყურებდა, აგერ ახლა იტყვის ელჩი, კრიმინალებს გადავცეთ ძალაუფლებაო. ორი კვირა რომ გავიდა და ნორლანდმა არაფერი თქვა, გადაწყვიტა, დაუმალეს ეს წერილი დიპლომატსო, გააშანშალა ახალი უსტარი და უკვე დაზღვეული გაუშვა. მაინც რომ არ მისცა რეაქცია ნორლანდმა, უკანასკნელი სიტყვებით აგინა, ან კაი ბიჭი არ გყავს ბავშვობის ძმაკაცი, ან ქუჩაში არ მდგარხარ, ჩემი რომ არ გესმისო?! ახლა ხომ მიდის ეგ კაცი, ვადა ეწურება და ახალ ელჩს უნდა მივწერო, ძალიან მაგარი იდეაო, ამბობს და მისწერს ალბათ...“

„მოდი, პირდაპირ მითხარი, რამდენიმე პატიმარი მოკვდა ბოლო დროს ზოგი ცემაში და ზოგი გვემაში... არ ინდობთ ისევ ერთმანეთს თუ რა ხდება?!“

„ისე მეკითხები, თითქოს ნაჯდომი არ იყო... ძალიან რომ გაბლატავდება ვიღაც, მერე ცდილობენ ადგილი მიუჩინონ და თუ არ ნებდება და მაინც ახურებს, მერე მიდის დალეწვა. ზოგთან ვერ ზომავენ და სულ ეგ არის. როგორც ადრე იყო რა, უბრალოდ მაშინ ოფიცრები ვერ ზომავდნენ, ახლა — პატიმრები. ერთმანეთს ჭამენ და მიდის მერე გარჩევა, ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი. კაცი მკვდარია და თუ გინდა გაარჩიე და თუ გინდა გაწეწე, აზრი აღარ აქვს. არასამთავრობოები რომ დადიოდნენ, მაშინ ეუბნებოდნენ ხოლმე პატიმრები ჩუმად, „ბლატატა“ ერთმანეთს არ ინდობსო, მაგრამ „ბლატატა“ ხმას არ იღებდა და იმ არასამთავრობოებსაც ეკიდათ. ჰო, მართლა, ერთი გოგო დადიოდა, თიკო, გახსოვს შენ... პატიმარს გაჰყვა ცოლად. თურმე ტელეფონი გამოართვა ერთმა, რომ გამიჭირდება დაგირეკავო და ორი წელი ყოველ დღე „უჭირდა“, ანუ ურეკავდა, რა. გავიდა და კი მოიყვანა ცოლად უფლებადამცველი. მართალია, ახლა ისევ ციხეშია, მაგრამ ცოლი თითქმის ყოველ დღე აკითხავს...“

„წყალდიდობამ შეგაშინათ?!“

„არა, რა შეგვაშინა... ვამბობდით, ნეტავ ისე ადიდდეს, აქაურობაც წაიღოსო მტკვარმა, მაგრამ არ გამოვიდა ამ საქმიდან არაფერი. მერე, ვეფხვს რომ ეძებდნენ, იმას ვნატრობდით, ჩვენს ზონაზე შემოვიდეს და ვანახებთ ვეფხვი ვინ არისო. ასეა რა, დიდი „სროკი“ რომ გაქვს, ხან წყალდიდობის იმედად ხარ და ხან მიწისძვრის, თორემ მე ორი კვირა მქონდა დარჩენილი და იმას ვფიქრობდი, ახლა რომ ამოვიხრჩო აქ, ხომ იქნება საცოდაობა-თქო... მაგრამ მაგას ხმამაღლა როგორ ვიტყოდი?!“

„და ისიც მითხარი — წამალი, მობილური... მოსულა ზონაზე?!“

„გააჩნია რა დონე ხარ. ფული თუ გაქვს, ყველაფერი მოსულა. წამალი ცოტა ჭირს, ძალიან უნდა იჩალიჩო, მობილური კიდევ... იგივე ფასია, მისცემ გარეთ, შემოგიტანენ შიგნით. ლარის ინფლაცია არ შეხებია მობილურის შემოტანის ფასს...“

„ანუ, ისევ ორი ათასი?!“

„სულ დამავიწყდა, შენ ხომ კაი ხანია გახვედი. სამი გახდა ძმაო, სამი ათასი...“

ვერსიანიუსი

საპატრულო პოლიციამ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, გადაზიდვის და გასაღების ბრალდებით 11 პირი დააკავა

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ოპერატიულ სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი: 1958 წელს დაბადებული ზურაბ გ, 1975 წელს დაბადებული ირაკლი ც, 1979 წელს დაბადებული გიორგი თ, 1975 წელს დაბადებული ლაშა დ, 1987 წელს დაბადებული ვასილ ლ, 1959 წელს დაბადებული სოლომონ ლ, 1991 წელს დაბადებული ზაზა პ, 1988 წელს დაბადებული გიორგი თ, 1967 წელს დაბადებული ხვიჩა ს, 1976 წელს დაბადებული მამუკა მ. და 1958 წელს დაბადებული გელა გ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, გადაზიდვის და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო გასაღების ფაქტზე ასევე ამხილეს 9 წევრი: 1985 წელს დაბადებული ნანა ს, 1989 წელს დაბადებული ლიკა რ, 1989 წელს დაბადებული თამთა კ, 1978 წელს დაბადებული მზია მ, 1948 წელს დაბადებული რამიკო მ, 1969 წელს დაბადებული ელისო ჯ, 1962 წელს დაბადებული ზურაბ ხ, 1976 წელს დაბადებული ვლადიმერ ნ და 1966 დაბადებული თამაზ ჩ.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თბილისი-სენაკი-ლესელიძის 22-ე კილომეტრზე, მცხეთის ტერიტორიაზე, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის შეაჩერეს ავტომანქანა, რომლის დათვალიერებისას, მგზავრის სავარძლის ქვეშ „გლოკ 17“-ის მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და 20 ვაზნა ამოიღეს. ავტომანქანის მძღოლი, 1958 წელს დაბადებული ზურაბ გ, და მგზავრი — 1975 წელს დაბადებული ირაკლი ც. შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

აღნიშნული პირების დაკავების შემდეგ გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები — ხვიჩა ს, გიორგი თ. და მამუკა მ. წინასწარ შეთანხმდნენ, რომ ქალაქ თბილისში შეეძინათ, შემდეგ კი მართლსაწინააღმდეგოდ გადაეზიდათ და გაესაღებინათ ქალაქ გორსა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში „გლოკ 19“-ის და „გლოკ 17“-ის მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. მათ ამ წინასწარ შემუშავებული გეგმის განხორციელებაში სხვა დაკავებული და მხილებული პირები ეხმარებოდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მხილებული პირების სახელზე აფორმებდნენ შეძენილ იარაღს, რის შემდეგაც აღნიშნული იარაღის რეალიზაციას ქალაქ გორსა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში ახდენდნენ.

გამოძიების მიმდინარეობისას სამართალდამცველებმა ქალაქ საგარეჯოში, გელა გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 82 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა 2014 წლის ივნისიდან დღემდე ქალაქ გორსა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში „გლოკ 19“-ის და „გლოკ 17“-ის მოდელის 20-მდე ცეცხლსასროლი იარაღი ჩაიტანეს და რეალიზაცია მოახდინეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, გადაზიდვის და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-3 ნაწილის და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

„აბებით ცუდ ქორწინებას ვერ გამოასწორებ“

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

კურნავს თუ არა „ქალების ვიაგრა“ სექსუალურ დისფუნქციას

როდესაც სექსუალურ დისფუნქციაზე საუბრობენ, ხშირად აქცენტი რატომღაც მამაკაცებზე კეთდება, მაგრამ ფაქტია, რომ მსგავსი პრობლემები ქალებსაც აწუხებთ. ისიც ფაქტია, რომ ასეთ შანსს ფარმაცევტული კომპანიები ხელიდან არ გაუშვებდნენ და მალევე გამოუშვეს პრეპარატი, რომელსაც „ქალების ვიაგრას“ უწოდებენ, თუმცა რამდენად ეფექტურია იგი და რამდენად შეიძლება სექსუალური დისფუნქცია მედიკამენტოზურ მკურნალობას საჭიროებდეს, ესაა გასარკვევი.

ბარბარა გატუზო პრეპარატის კლინიკურ ცდებში მონაწილეობდა, თუმცა ამ გადაწყვეტილებას საკმაო პრობლემები უძღვოდა: 30 წელსგადაცილებულმა ქალმა შენიშნა, რომ მისი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა სექსის მიმართ. **„ქმართან ამ თემაზე არასოდეს მილაპარაკია, მაგრამ სექსი უბრალოდ აღარ მაინტერესებდა“,** — აცხადებს გატუზო და დასძენს, რომ დროთა განმავლობაში შესანიშნავად ისწავლა, როგორ გაქცეოდა მეუღლესთან სიახლოვეს და პირდაპირ არ ეთქვა უარი: ქალი ქმარზე ადრე წვებოდა დასაძინებლად და მასზე ადრე დგებოდა. ასეთი ვაიურთიერთობის მიზეზი სექსუალური სურვილის არქონა გახლდათ და წყვილები, რომლებიც რამდენიმენლიანი თანაცხოვრების ფონზე გაუფერულებულ ურთიერთობებზე აკეთებენ აქცენტს, არცთუ იშვიათია.

ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, ასეთი ცვლილებები ნორმალურია, მით უმეტეს, ასაკთან ერთად, სხვები კი ფიქრობენ, რომ სექსუალური სურვილის არქონა, სამედიცინო მდგომარეობაა, რომელსაც ტვინში ქიმიური ბალანსის დარღვევა პროვოცირებს.

არსებობს თუ არა პრეპარატი ამ დარღვევის სამკურნალოდ? — აშშ-ს წამლისა და საკვები პროდუქტის კონტროლის სააგენტო დიდხანს მსჯელობდა გაეცა თუ არა პრეპარატ ფლიბანსერინის წარმოების ნებართვა, რომელსაც ხანდახან „ქალის ვიაგრასაც“ უწოდებენ და რომელსაც დღემდე ჰყავს მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც.

მაინც რა აქრობს ვნებას და რა როლს ასრულებს ასეთ დროს ფლიბანსერინი? მხოლოდ კაცებს რომ არ აწუხებთ სქესობრივი დისფუნქცია, ამის დასტურია ვიაგრას პოპულარობა, თუმცა გამომწვევი მიზეზები მეცნიერებისთვის დღემდე გაუგებარია. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მსგავსი ცვლილებები ტვინთანაა დაკავშირებული — ზოგ ადამიანს არ შესწევს უნარი, გამუდმებით არ იფიქროს არსებულ პრობლემებზე.

როგორც კი ცნობილი გახდა ვიაგრას ეფექტურობა, ფარმაკოლოგიურმა კომპანიებმა დაიწყეს მისი ანალოგის შექმნაზე მუშაობა ქალებისთვის.

ფლიბანსერინი ჯერჯერობით ამ „რბოლაში“ ლიდერობს, თუმცა თავიდან იგი შეიმუშავეს როგორც ანტიდეპრესანტი. მოგვიანებით გაირკვა, რომ პრეპარატი განწყობაზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდა, სამაგიეროდ ქალებმა, რომლებიც კლინიკურ ექსპერიმენტში იყვნენ ჩართულები, მოულოდნელად განაცხადეს, რომ ძლიერ ლტოლვას გრძნობდნენ პარტნიორების მიმართ.

საქმე ისაა, რომ ფლიბანსერინი სასიგნალო მოლეკულებს ანეიტრალებს და დოფამინის, ნორადრენალინის, სეროტონინის ბალანსს უზრუნველყოფს ტვინში. **„მიგვაჩნია, რომ პრეპარატი ბიოქიმიურ ბალანსს აღადგენს და გარკვეული ნივთიერებების კომპენსირებას ახდენს“,** — აცხადებენ სპეციალისტები.

ასეა თუ ისე, ფაქტია — პრეპარატი ანტიდეპრესანტად არ გამოუყენებიათ, რადგან მისი ეფექტურობა მკვეთრად გამოხატული არ ყოფილა, თუმცა ქალებისთვის სტიმულატორის როლი უდავოდ შეასრულა.

თავდაპირველმა ტესტირებამ აჩვენა, რომ პრეპარატის მიღების შემდეგ ქალები სექსუალურ ლტოლვას განიცდიდნენ, თუმცა წამლის ზემოქმედებასა და ლტოლვას შორის კავშირი მეცნიერულად არ დადასტურებულა. შემდგომმა კლინიკურმა ცდებმა კი ცხადყო, რომ წამალი ზრდის სექსუალურ ლტოლვას.

„როგორ გავზომოთ შედეგი?“ — კითხულობს სიუზან სკენლანი, ორგანიზაცია Even The Score-ის თავმჯდომარე, რომელიც სექსუალური დისფუნქციის მედიკამენტებით მკურნალობის წინააღმდეგია და დასძენს, რომ შედეგები ძალზე ბუნდოვანია.

ბარბარა გატუზო 2011 წელს შეუერთდა მოხალისეთა ჯგუფს და აქტიურად მონაწილეობდა პრეპარატის ცდებში. თავიდან მას აძლევდნენ პლაცებოს, რაც არანაირად არ მოქმედებდა ორგანიზმზე, მოგვიანებით კი რეალური პრეპარატი მისცეს. **„2 კვირის შემდეგ საერთოდ სხვა ადამიანი გავხდი, ვიღვიძებდი შუაღამისას და ვეფერებოდი ქმარს. სიახლოვის სურვილი 100 პროცენტით დამიბრუნდა“.**

თუმცა ფლიბანსერინს შეიძლება გვერდითი ეფექტებიც ჰქონდეს, მათ შორის ძილიანობა, თავბრუსხვევა და გულისრევა. როგორც სკენლანი ირწმუნება, ეს გვერდითი ეფექტები ბევრად სერიოზულია, ვიდრე ვიაგრას შემთხვევაში... არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ფლიბანსერინის არსებობა აიძულებს ქალებს პრეპარატით უმკურნალონ პრობლემას, რომელიც რეალურად, შეიძლება სტრესის მოხსნითაც მოგვარდეს. **„სურვილის საკითხში მნიშვნელოვანია ურთიერთობები, კონტექსტი და გარეფაქტორები, თუნდაც განწყობა“,** — ამბობს სინტია გრემი, საუტჰემპტონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფსიქოლოგიის ლექტორი და არც იმას უარყოფს, რომ პრობლემის ფარმაკოლოგიურ გადაწყვეტას ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამართლებაც მოეძებნოს: **„არ უარვყოფ, ზოგიერთ ქალს აქვს პრობლემები ლტოლვასთან დაკავშირებით და ჯამში პრეპარატი შესაძლოა სასარგებლოც იყოს, მაგრამ აუცილებელია მეტი ვიცოდეთ გვერდითი ეფექტების შესახებ. გარდა ამისა, თუ თქვენ არ გაინტერესებთ სექსი, იქნებ საკუთარ თავს ჰკითხოთ, პრობლემა თქვენი ქმარი ხომ არაა? აბებით ცუდ ქორწინებას ვერ გამოასწორებ“.**

მაკა ლომაძე
555-27-95-13

როკი და კლასიკა — რა ჟანრის მუსიკას უსმენენ თბილისელები

თბილისის ქუჩებში ან ტრანსპორტში, ხშირად შეგხვდებათ ადამიანები, რომლებსაც ყურსასმენები უკეთიათ, მუსიკას უსმენენ და შეიძლება ითქვას, გარესამყაროსაც კი არიან მოწყვეტილნი. ისინი, ჩეხი მწერლის, მილან კუნდერას ტერმინით რომ ვთქვათ, „ყოფიერების აუტანელ სიმარტივეს“ მუსიკის ჰანგებით ებრძვიან და ცდილობენ, დამქანცველ, ხშირად კი, უინტერესო და გაუსაძლისად მონოტონურ ცხოვრებას ახალი ფერი სხვადასხვა მელოდიით შემატონ. ხელოვნებაც ხომ, პრინციპში, ნაცრისფერი რეალობის გაფერადების მცდელობაა... „ვერსიამ“ სცადა გაერკვია, რას ჟანრის მუსიკას უსმენენ თბილისელები და ქალაქის სტუმრები. გამოკითხულთა უმეტესობა, ბუნებრივია, ახალგაზრდა იყო.

ჩვენი პირველი რესპოდენტი 16 წლის ანუკია: **„მე როკს ვუსმენ. ძირითადად, 70-იანი წლებისას. მიყვარს „ლედ ზეპელინი“, მაგრამ თანამედროვეებსაც ვწყალობ. მაგალითად „მიუზის“. ასევე, მიყვარს „ბითლზები“.**

14 წლის სალომეს ავრილ ლავინი და ჯესი ჯეი ურჩევნია. 17 წლის თემო კი უპირატესობას კლასიკურ როკ-ჯგუფებს ანიჭებს, ისეთებს, როგორიცაა „ქვინი“, „დიფ ფარფლი“, „პინკ ფლოიდი“, „ბლექ საბათი“: **„5 წლიდან ვუსმენ როკს. ისე, ჯაზიც მიყვარს. ძირითადად, ვიწერ მობილურში. ზოგჯერ, მამაჩემის მანქანაშიც ვუსმენ დისკებზე“.**

50 წლის დმიტრი ტურისტია რუსეთიდან. სიხარულით გვპასუხობს: **„მიყვარს „მეტალიკა“, „ბითლზი“ და რუსული როკი, კერძოდ, „დე-დე-ტე“.**

ქართველებიდან, ყველაზე განსხვავებულად 53 წლის ვახტანგ გოგუაძე გვპასუხობს: **„ინგლისური სიმღერები არ მიყვარს. ისე მესმის, როგორც ხმაური. ვუსმენ ძველ ხალხურ და საესტრადო სიმღერებს, ოღონდ, მხოლოდ ქართულს და რუსულს. სიყვარული ხომ დიდწილად მიჩვევაა, ჰოდა, მათ სმენას ვარ მიჩვეული“.**

20 წლის ნინო ფორტეპიანოზე თავადაც უკრავს: **„ძირითადად, კლასიკას ვუსმენ. განსაკუთრებით მოცარტი და ბახი მიყვარს, ამ ორი კომპოზიტორის ნებისმიერი ნაწარმოების მოსმენა დიდ სიამოვნებას მანიჭებს“.**

უეცრად, ვამჩნევ სუფთად, მაგრამ საკმაოდ უჩვეულოდ, თუმცა, არა პანკურად ჩაცმულ ბიჭს. „ეს კი ნამდვილად ხელოვანია“ — გამიელვა თავში, რადგან სხვა სფეროს წარმომადგენლები, როგორც წესი, თბილისის ქუჩებში შლაპით და „ლენონებით“ თითქმის არ დადიან. 18 წლის შოთი ჭეიშვილი, მომავალი მსახიობი აღმოჩნდა: **„ვუსმენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკას, ელექტრონულიდან დაწყებული, ჯაზით დამთავრებული. ვგიჟდები საქსაფონზე და ამ ინსტრუმენტის ხათრით შემიყვარდა ჯაზი. ძალიან მიყვარს ჯონ კოლტრეინი, ასევე, პაროვ სტელარი, რომელსაც შარშან ბათუმის „ბლექ სი ჯაზ-ფესტივალზე“ მოვუსმინე. ცოცხალ შესრულებას მსგავსი შთაბეჭდილება აქამდე არ მოუხდენია. მუსიკის გარეშე, თეორიული შანსიც არ მაქვს, გავძლო. ის ჩემი ნარკოტიკია. გიტარაზეც ვუკრავ, მაგრამ მოყვარულის დონეზე. მუსიკა ჩემი განუყრელი ნაწილია. ერთადერთი, ლექციებზე ვერ ვუსმენ, რადგან არ შეიძლება“.**

52 წლის ქალბატონი თამილა ახალგაზრდების გემოვნებას იზიარებს: **„ვუსმენ ძველ როკს, „ქვინს“, ასევე რეგის და ბობ მარლის. მიყვარს კლასიკური მუსიკა“.**

21 წლის ბექა გვეუბნება: **„ქართულის გარდა, ყველაფერს ვუსმენ. ხასიათს გააჩნია — მიყვარს ინგლისური და რუსული სიმღერები. ინგლისური არ მესმის, თუმცა, რუსულს ტექსტის მიხედვით ვარჩევ. ცხოვრებისეული შინაარსის სიმღერებს ვამჯობინებ. ალბათ იმიტომ, რომ რომანტიული ვარ. ასე რომ, მუსიკალური ჟანრებიდან, ბუნებრივია, სოული მიყვარს ყველაზე მეტად“.**

ქართველებიდან გამორჩეულად არც 22 წლის მაკა თელიას უყვარს ვინმე: **„ვუსმენ ყველას, ვინც მომწონს. ბავშვობაში, უფრო ბავშვური სიმღერები მიყვარდა. ახლა, ლანა დელ რეი მომწონს“.**

47 წლის ქალბატონი ქეთინო გამორჩეულ მიმდინარეობად ქართულ ფოლკლორს ასახელებს. 19 წლის თენგო პეტრიაშვილი კი, ბევრის მსგავსად, კლასიკური როკის მოტრფიალეა.

21 წლის თამთა გვიმხელს: **„უპირატესობას კლასიკას ვანიჭებ. პატარაობაში, რეპს ვუსმენდი, 2PAC-ის ფანი ვიყავი ისევე, როგორც მთელი ჩემი სამეგობრო. გემოვნება კი 14 წლიდან შემეცვალა“.**

იმავე ასაკის ნინი კი თავიდანვე ორ პოპ-პრინცესაზე — ბიონსესა და რიჰანაზე იყო შეყვარებული და ამბობს, რომ დღემდე, მათი შემოქმედების ერთგულ თაყვანისმცემლად რჩება.

26 წლის თამარი ერთ-ერთი ის რესპოდენტია, ვინც ყველაზე ამომწურავი პასუხი გაგვცა საკუთარი მუსიკალური გემოვნების შესახებ და საკმაოდ განსხვავებულიც: **„ყველაფერს ვუსმენ მძიმე როკის გარდა. მუსიკის გარეშე ვერც ვმეცადინეობ. მის ფონზე, უკეთესად ვაზროვნებ. ქართველებიდან, ანრი ჯოხაძე მომწონს. ამ ბოლო დროს, ვუსმენ ზურა ხაჩიძის სიმღერებსაც. უცხოელებიდან, ჯგუფ „ქორალს“ დავასახელებდი. ძველებიდან, ჩემი რჩეულია მაიკლ ჯექსონი. და ბოლოს, რა თქმა უნდა, კლასიკური მუსიკა“.**

ალბათ, ბევრი ჩვენგანის მსგავსად, 23 წლის ლაშა მირონიძეც თინეიჯერობის დროს, რეპს უსმენდა: **„ახლა, ბევრნაირ ჟანრს ვუსმენ, მაგრამ ყველაზე მეტად ჯაზი მომწონს, შემსრულებლებიდან კი გროვერ ვაშინგტონს გამოვარჩევდი“.**

იმავე ასაკის ანრი გოგინაშვილი უპირატესობას 1980-იანი წლების როკს ანიჭებს: **„განსაკუთრებით მიყვარს ბონ-ჯოვი, ასევე შვედური ჯგუფი „ევროპა“. კონკრეტული ამოჩემება არ მაქვს. ვუსმენ განწყობის მიხედვით. არ მიყვარს მელანქოლიური სიმღერები სიყვარულზე. ისედაც, საკმაოდ ნეგატიურად დატვირთული ცხოვრებაა, ამიტომ მელოდიისგან „ამსუბუქებას“ ველი. მიყვარს სამხედრო მუსიკა, რომელსაც ტონუსში მოვყავარ. ასევე, ჩემი ფავორიტია იტალიური მელოდიები“.**

„სამწუხაროდ, ქართველებიდან არავინ მიყვარს. ვუსმენ „პინკ ფლოიდს“ და მსგავსი ჟანრის მუსიკას. ასევე, „დიფ ფარფლს“, — ამბობს 18 წლის თეო.

21 წლის ანა ჩვენი ბოლო რესპოდენტია. ამბობს, რომ განწყობის მიხედვით სხვადასხვა მიმდინარეობას უსმენს. რუსებიდან ზემფირა უყვარს, თუმცა უფრო უცხოელ მომღერლებს ანიჭებს უპირატესობას.

როგორც გაირკვა, როკი ლიდერობს. მეორე ადგილზე კი კლასიკური მუსიკაა. საკმაოდ დაბალრეიტინგული აღმოჩნდა ქართული ფოლკლორი. ოღონდ ახალგაზრდებში. უფროსი თაობისთვის კი, ფოლკლორი, პირველ ადგილზე დგას.

1. თურქეთის უდიდესი ქალაქი
2. ტრადიც. მექსიკური ალკოჰოლური სასმელი
3. ატმოსფეროს ოპტიკური მოვლენა
4. დასტურის შეძახილი აშშ-ში
5. აზრის ოგაურად გამოხატვა ხელოვნებაში
6. ცეცხლასროლი იარაღის ნაწილი
7. „საბრალონის“ პერს. მამაცი ბიჭუნა
8. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
9. იტალ. კინორეჟისორი მარტინ ...
10. რისამე შესწ. ნაწილ. დაშლის გზით
11. მთა კუნძულ კრეტაზე
12. ჩინეთის ფულის ერთეული
13. ფილტვების მფარავი აპკის ანთება
14. ძველი გერმანული ტომები
15. ამერიკელი მსახიობი ჯონ ...
16. ალაბეჯზე მოქმედება
17. ირანის ფულის ერთეული
18. წყლის გრაციოზული ფრინველი
19. მსხვილი ნაწლავის ანთება
20. ქსოვილის სათავსი ფქვილის შესანახად
21. ზღვის სანაპირო
22. ხორციანი კორკოტი
23. ბაღჩეული კულტურა
24. კანის კეთილთვისებიანი სიმსივნე
25. მუს. საკრავების ხმის სახშობი მოწყობილ.
26. ალ. დიუმას „დედოფალი ...“
27. დარდი, სევდა, ნაღველი
28. ანტიკ. კოლხეთი
29. იუპიტ. თანამგზავრი
30. წარჩინების ნიშანი
31. პარლამენტის სახელწოდება შვედეთში
32. ძვ. ამერიკული სამხედრო ავტომობილი
33. უბე ზღვის დაბალ ნაპირზე
34. ტბა თბილისთან
35. სამხ. გემების დიდი შენაერთი
36. მდიდრული აგარაკი
37. ცალკეული მოძრაობა სპორტში
38. ინდური ფილოსოფიური მოძღვრება
39. ბევრ ცხიმში შემწვარი
40. დეკორ. ყვავილი
41. ... ისაკაძე
42. ერუმენჯ. თითებით ლაპარაკის ხერხი
43. ინგლისელი მომღერალი ... ჯონსი
44. რუსული ჯიპი
45. ელდარ რიაზანოვის ფილმი
46. კარმენის მკვლელი
47. წამლის ბურთულა
48. ინდოეთის შემსწავლელი მეცნიერება
49. ათოსის მსახური
50. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
51. პირისახის ძვალი
52. ჯოჯოხ. ცეცხლი
53. იგივე წინდი
54. ჯავახიშვ. „დაგვანებული“ პერსონაჟი
55. ნოველა „კარმენის“ ავტორი
56. იაპონური თეატრის სახეობა
57. თაგვის „ბინა“
58. იაზონის ხომალდი
59. იესო ქრისტეს ნათლია
60. კუკარაჩას ცოლის სახელი
61. მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი პოეტი
62. დიდი უძლეველი სურვილი
63. თორმეტი ერთგვარი საგანი

ურჩი ცოლი ციხეში ჩასვა

მექსიკაში მცხოვრები ქალი გისოსებს მიღმა იმის გამო აღმოჩნდა, რომ ქმარს, რომელიც სასეირნოდ წასვლას აპირებდა, ტანსაცმლის გაუთოვებაზე უთხრა უარი. ამის გამო, 21 წლის დულცე გარსიას ქმარმა პოლიციაში უჩივლა. სამართალდამცავებმა გოგონა განყოფილებაში წაიყვანეს და ოჯახის საქმეების მიმართ დაუდევრობაში დასდეს ბრალი. ქალს ჯარიმაც დააკისრეს 31 დოლარის ოდენობით, მაგრამ „დამნაშავეს“ გადასახდელი თანხა არ აღმოაჩნდა. როგორც „ბრალდებულმა“ აღნიშნა, ქმარს პერანგი იმიტომ არ გაუუთოვა, რომ ეჭვი ჰქონდა, მეგობრებთან ერთად სასეირნოდ კი არა, საყვარელთან მიდიოდა. სამართალდამცავების მხრიდან საეჭვო საქციელის გამო, ამ შემთხვევამ სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ბევრმა ქმრისა და პოლიციელების ქმედება არაადეკვატურად შეაფასა. „ჩემს ცოლსაც ხომ არ წაიყვანდით? ბევრს ჭამს და ფულს ჩემი საკრედიტო ბარათიდან ხარჯავს“, — მსგავსი შინაარსის გამოხმაურებები მრავლად იყო ქსელში. შერიგდა თუ არა ცოლ-ქმარი ამ კონფლიქტის შემდეგ, უცნობია.

ქალმა გააჩინოს თუ არა, მისი უფროსი გადაწყვეტს

ერთ-ერთი ჩინური ფინანსური კომპანიის ხელმძღვანელობა, თანამშრომლებს წარმოუდგენელი სიმკაცრით ექცევა — ცოტა ხნის წინ, ხელმძღვანელობამ სასტიკად აუკრძალა სუსტი სქესის ხელქვეითებს, ბავშვი მათი ნებართვის გარეშე გააჩინონ. ფირმაში აღნიშნავენ, რომ დაფეხმძიმებაზე ნებართვას მხოლოდ ის თანამშრომლები მიიღებენ, რომლებიც მათთან გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკვე მუშაობენ და ასევე კანონიერ (ანუ დარეგისტრირებულ) ქორწინებაში იმყოფებიან. მიუხედავად იმისა, რომ აქ მომუშავე ქალებისთვის ფეხმძიმობის ნებართვის გაცემა შეზღუდული იქნება, უფროსობამ არც მკაცრი ზომების მიღებაზე დაიხია უკან. კომპანიის ახალი წესების მიხედვით, იმ ქალბატონებს, რომლებიც ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებიან და ისე დაორსულდებიან, 161 დოლარით დააჯარიმებენ. გარდა ამისა, აღარ მისცემენ პრემიებს და კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ კომპანიაში შემოღებული წესები, მართლაც აღმოჩენა გახდა არა მხოლოდ ჩინეთის, არამედ მთელი მსოფლიოს საზოგადოებისთვის. ბევრი სტატიაც დაიწერა, სადაც ფირმის ხელმძღვანელობას თანამშრომლების მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებენ. თუმცა, ადრესატებს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

დესერტი ყვავილებით

ამომავალი მზის ქვეყანა ცნობილია თავისი ეგზოტიკური ხილითა და არასტანდარტული ტკბილეულით. ახლა ქვეყანაში კიდევ ერთი გატაცებაა მოდაში — დახვეწილი დესერტი, რომელიც საკვებად ვარგისი ყვავილებისგან მზადდება. ფანტასტიურად ლამაზი დესერტი ჟელატინის, ბავარიული კრემისა და სხვადასხვა ყვავილისგანაა შექმნილი. ისინი ტოკიოში, ავარო-ს საკონდიტროს ქსელში იყიდება. მსურველს შეუძლია სხვადასხვა ზომის ყვავილის პირის ჩასატკბარუნებელი შეიძინოს — დიდი რგოლები, ანუ „თაიგულები“ და პატარა ზომის კუბიკები, ეგრეთ წოდებული ფურცლები. რვა ასეთი ფურცლისგან შემდგარი დესერტის ნაკრები დაახლოებით 15 დოლარი ღირს.

სუდოკუმანია

ადვილი

		1				3		
	6	9	5					
		4					8	6
	4			9	6			5
		8	7		3	2		
9			4	8			3	
7	3					5		
					5	1	6	
		5				7		

სტანდარტი

6							1	9
	3	2						
1	9			5	4			
		1	7				4	2
3								8
5	6				8	7		
			4	3			7	6
						8	5	
7	1							4

რთული

3							8	
			7	5		6		
	5	4				2		
	4				1			6
	9	7		6		4	3	
1			4				5	
		2				1	6	
		9		3	5			
	1							9

ექსპერტი

3		1			8			
				2	3			
	6			5			2	9
	7		1			4		
4								3
		5			2		8	
5	9			1			4	
			5	7				
			2			5		6

თავს გარდაცვლილ დედად ასაღებდა



ნიუ-იორკის ხელისუფლებამ, 49 წლის ადგილობრივი დააკავა, რომელიც 6 წლის განმავლობაში თავს გარდაცვლილ დედად ასაღებდა. მოქალაქის მთავარი მიზანი სახელმწიფოსგან სუბსიდიების მიღება იყო. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ამ ხნის განმავლობაში მამაკაცმა 117 ათასი დოლარის „გამომუშავება“ შეძლო. სამართალდამცავთა განცხადებით, ექვსი წელი, ტომას პრუსიკ-პარკინი, ქალის პარიკსა და მაკიაჟის სქელ ფენას იკეთებდა და ისეთ ტანსაცმელს იცვამდა, საკუთარ დედას რომ დამსგავსებოდა. მას თან აუცილებელი რეკვიზიტებიც ჰქონდა: ხელჯოხი და გაყალბებული პასპორტი. ასეთი გარეგნობით, მოხერხებული ამერიკელი, დედის სოციალური დახმარების მიღებას ახერხებდა. მოხუცი ქალის როლში, მამაკაცი მიდიოდა ბანკებში, იღებდა ქვითრებს და თქვენ წარმოიდგინეთ, მართვის ახალი მოწმობის აღებაც მოახერხა. დაკავებულს უახლოეს მომავალში სასამართლო ელის. შესაძლოა, მას 25-წლიანი პატიმრობა არ აცდეს.

მიირთვი ტარაკანი და გაერთე

ФОТО: WIKIPEDIA.ORG

აშშ-ში, ჯორჯიის შტატში, ერთ-ერთი გასართობი პარკის დამთვალიერებლებისთვის, ხელმძღვანელობამ ახალი კონკურსი მოიფიქრა — ვინც მადაგასკარულ ტარაკანს შეჭამს, მთელი წლის განმავლობაში, „ამერიკულ მთებზე“ უფასოდ იკატავებს. ტარაკნების შეჭმის მსურველი ბევრი ადამიანი არ აღმოჩნდა. კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო. მათ ლავაშში გახვეული უზარმაზარი მწერი შეჭამეს და გემოს „გასაკეთილშობილებლად“, არჩევანი მექსიკურ სანელებელსა და ბარბექიუს შორისაც, სურვილისამებრ გააკეთეს. ტარაკნები წინასწარ შეამოწმეს ჯანდაცვის უწყების თანამშრომლებმა და განაცხადეს, რომ ისინი ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნიდნენ. გამარჯვებულებზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი, რადგან კონკურსი თვის ბოლომდე გრძელდება. მადაგასკარული ტარაკანი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტარაკანია. მოზრდილი მწერები თაგვის ზომასაც კი აღწევენ.

მსუქნებს 800 დოლარით დააჯარიმებენ

ლათინო-ამერიკულ პუერტო-რიკოში კრიზისია — მოქალაქეები მასობრივად იტანჯებიან ჭარბი წონით. სიმსუქნე, როგორც დაავადება, განსაკუთრებით შეინიშნება ბავშვებში. ხელისუფლება პრობლემის გადაჭრას უკვე საკანონმდებლო დონეზე ცდილობს — პარლამენტში განიხილავენ კანონპროექტს, რომლის თანახმად, ჭარბწონიანი ბავშვის მშობლებს სასჯელი ელით. თუ ბავშვის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, შესაძლოა, მშობლებს ბრალი პატარების მიმართ სასტიკ მოპყრობაშიც კი დასდონ. ახალი წესებით, სკოლები გამოავლენენ იმ ბავშვებს, რომელთაც სიმსუქნე აწუხებთ. სიმსუქნის მიზეზის დასადგენად, ასეთ ბავშვებს, ჯანდაცვის კონსულტანტებთან გადაამისამართებენ. შემდეგ კი, დიეტის დაცვისა და ვარჯიშის რეკომენდაციას მისცემენ. ბავშვებს თვეში ერთხელ შეამოწმებენ. თუ მდგომარეობა ექვსი თვის შემდეგ არ გაუმჯობესდება, მშობლებს 500 დოლარით დააჯარიმებენ. თანხა 800 დოლარამდე იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ ნახევარი წლის შემდეგ, მესამე შემოწმების დროსაც, ბავშვი წონაში მნიშვნელოვნად არ იქნება დაკლებული.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

3	1	9	2	8	6	4	7	5
8	2	5	7	3	4	1	9	6
7	6	4	1	9	5	3	2	8
4	3	7	9	6	8	2	5	1
5	9	1	4	2	3	8	6	7
6	8	2	5	1	7	9	4	3
2	4	3	6	7	1	5	8	9
9	7	8	3	5	2	6	1	4
1	5	6	8	4	9	7	3	2

სტანდარტი

6	1	9	5	8	7	4	3	2
4	8	2	1	6	3	7	5	9
3	5	7	4	2	9	8	1	6
8	4	3	2	7	6	1	9	5
5	9	1	8	3	4	6	2	7
7	2	6	9	5	1	3	8	4
2	6	8	3	4	5	9	7	1
1	7	5	6	9	8	2	4	3
9	3	4	7	1	2	5	6	8

ადვილი

8	3	7	4	6	1	9	2	5
6	5	9	3	8	2	4	7	1
4	2	1	9	7	5	8	6	3
9	8	4	6	5	7	3	1	2
3	1	6	2	4	9	5	8	7
2	7	5	1	3	8	6	4	9
1	4	2	8	9	3	7	5	6
7	9	8	5	2	6	1	3	4
5	6	3	7	1	4	2	9	8

სტანდარტი

8	5	2	7	4	6	9	3	1
3	1	9	2	5	8	7	6	4
7	4	6	9	3	1	8	5	2
2	8	7	6	1	9	5	4	3
1	3	5	4	2	7	6	8	9
9	6	4	5	8	3	2	1	7
6	2	3	1	9	5	4	7	8
5	9	1	8	7	4	3	2	6
4	7	8	3	6	2	1	9	5

რთული

2	4	9	8	6	7	5	3	1
5	1	8	9	4	3	2	7	6
3	7	6	2	5	1	9	8	4
6	8	1	7	3	2	4	9	5
7	3	5	1	9	4	8	6	2
4	9	2	6	8	5	3	1	7
8	6	7	5	2	9	1	4	3
1	2	4	3	7	8	6	5	9
9	5	3	4	1	6	7	2	8

ექსპერტი

6	9	5	4	7	3	2	1	8
2	4	1	9	8	6	7	5	3
8	3	7	2	5	1	9	6	4
5	2	6	8	4	9	3	7	1
4	7	3	1	6	5	8	9	2
1	8	9	7	3	2	5	4	6
9	6	4	5	2	8	1	3	7
7	5	2	3	1	4	6	8	9
3	1	8	6	9	7	4	2	5

რთული

4	9	5	3	7	6	8	2	1
3	2	1	5	9	8	7	6	4
8	7	6	2	4	1	9	3	5
7	6	4	9	1	3	5	8	2
2	3	9	7	8	5	1	4	6
5	1	8	4	6	2	3	9	7
1	8	7	6	2	9	4	5	3
6	4	3	8	5	7	2	1	9
9	5	2	1	3	4	6	7	8

ექსპერტი

6	4	5	8	9	7	3	2	1
9	3	2	1	6	4	8	7	5
1	8	7	5	3	2	9	6	4
7	2	1	6	5	3	4	9	8
3	9	8	7	4	1	2	5	6
5	6	4	9	2	8	1	3	7
2	7	3	4	8	5	6	1	9
4	5	6	3	1	9	7	8	2
8	1	9	2	7	6	5	4	3

მე-10 გვერდი: 1. სენსაცია; 2. ეკლიპტიკა; 3. საცერი; 4. ცინიზმი; 5. პანთეონი; 6. ალბიონი; 7. თელა; 8. ომსკი; 9. პლაცენტა; 10. არაუკარია; 11. იუტა; 12. იფიგენია; 13. ობელისკი; 14. აიაჩო; 15. წალკა; 16. ბომარშე; 17. პარიზი; 18. რაჯა; 19. წიბო; 20. ტრიუმფი; 21. ბოა; 22. ამინ; 23. ოფისი; 24. ნიკო; 25. სევილია; 26. ჩაკრა; 27. ლია; 28. „ტიიდა“; 29. გურია; 30. სარდელი; 31. ვებერი; 32. ლორი; 33. ემილ; 34. ანუკ; 35. ექო; 36. რობერტო; 37. აკრა; 38. იაკი; 39. ქუდი; 40. ვაიო; 41. აზუა; 42. პანაცეა; 43. კნოპი; 44. ირი; 45. არია; 46. სუფსა; 47. ნასკა; 48. დონ; 49. არვე; 50. ფეროუ; 51. ფხა; 52. მალაიზია; 53. პაპი; 54. ცინი; 55. ამაო; 56. ხაო; 57. ასტანა; 58. ტროა; 59. მენორა; 60. ოვალი; 61. პიპინია; 62. ფარფლი; 63. ტანა; 64. ურა; 65. რაი; 66. ილიკო.

მე-12 გვერდი: 1. ვალუტა; 2. ალბინოსი; 3. ურდო; 4. ალეგრო; 5. ლავაში; 6. გრანტი; 7. ონო; 8. ოდელსტინგი; 9. ანდები; 10. ავრალი; 11. ალბიონი; 12. იტრია; 13. ური; 14. ბაზა; 15. კიტო; 16. ესერი; 17. ფშატი; 18. პრადო; 19. რიქშა; 20. კაი; 21. რბილობი; 22. მტილი; 23. ერბო; 24. დოტაცია; 25. რობერტ პატინსონი; 26. ქარსალა; 27. ფილე; 28. სიდრი; 29. ბერიკაობა; 30. ცირიკი; 31. რე; 32. მნე; 33. რიანა; 34. ცირიკი; 35. აგუტი; 36. რეტრო; 37. ამირა; 38. ალტაი; 39. სასკია; 40. ცრუ; 41. უკულელე; 42. ლეტო; 43. ანომალია; 44. ლაკოსტა; 45. გოლი; 46. კორიფე; 47. კონკა; 48. კარიერა; 49. ირიტი; 50. დუნაი; 51. კიპუ; 52. რაი; 53. ტაბლა; 54. შტილი; 55. ტარო; 56. ალადინი; 57. მარულა; 58. კომო 59. იტი; 60. ლიფონავა; 61. მურეი; 62. არკა; 63. ლაფეტი; 64. ტილი; 65. პიემონტი; 66. იოდი; 67. კოლბა; 68. ემუ; 69. კაროლინა; 70. კრკი; 71. კილტი; 72. ნიასა; 73. სიმონია; 74. იან; 75. ურანი; 76. იორდანე; 77. „კიკა“; 78. „კოპელია“; 79. უშუ; 80. კარა; 81. კიო; 82. ბლანი; 83. გო; 84. შნო; 85. გორგონა; 86. ბადია; 87. ნიცა; 88. იორამი; 89. აპია.

1. ველური ცხვარი
2. მოხეტიალე მუსიკოსი ძველ საბერ-ძნეთში
3. თავადზე დაბალი წოდება
4. მესამე მუსიკალური ინტერვალი
5. ხალხის, ტომის წარ-მომობა
6. წონის ერთეული, 100 კგ
7. ზრდილობი-ანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში
8. პაემანი, შეხვედრა
9. იაპონური აბანო
10. წინასწარი განცხადება წარმოდგენის შესახებ
11. უდიდესი შემოქმედები-თი ნიჭი
12. მელა „ოქროს გასაღებში“
13. პირისახე წინიდან
14. კვერცხის-მდებელი ძუძუმწოვარი ცხოველი ავსტრალიაში
15. უკრაინის პარლამენტი
16. მდინარე მონღოლეთში
17. საეკლესიო ზეთი
18. „წყლის სანიტრად“ წოდებული მოლუსკი
19. უცხოეთში მოღვაწე ქართველი მსახ-იობი მამაკაცი
20. გაფუჭე-ბული ღვინო
21. რეზინის ვულკანიზაცი-ით მიღებული მასალა
22. შუშანიკის მეუღლის სახელი
23. მუსიკ. გამის პირვე-ლი ნოტი
24. ბაკირეთის დედაქალაქი
25. ამერიკელი კინომსახიობი
26. ხაიამის ლექსი
27. ფილმი „ჩვენი ...“
28. იტალიის ტერიტორიაზე მცხოვრები უძვ. ხალხი
29. ზეცის უსაყვარლესი ასული
30. რომულუ-სის და რემის დედა ... სილვია
31. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
32. ქართული მოკლემეტრაჟ. ფილმი „კუნძი ...“
33. მოცარტის ოპერა „... ჟუანი“
34. შლამის თევზი
35. რაიმე ადგი-ლის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება
36. განუხორ-ციელებელი იმედი, ოცნება
37. ერთგვარი რბილი ტყავი
38. ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება
39. მნიშ-ვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
40. აბელის და კაინის დედა
41. დიდი ჩაქუჩი
42. ბურთის გასვლა მოედნის ხაზს მიღმა
43. შიში გაშლილი სივრცის მიმართ
44. ღამის საპირისპირო სიტყვა
45. ხის სასულე მუსიკალური საკრავი
46. თვალის კაკ-ლის უნებლიე რიტმული მოძრაობა
47. ის, ვის თავზეც დიონ-ისემ მახვილი დაკიდა
48. სამხრეთ კორეის დედაქალაქი
49. ბედი, ბედისწერა
50. რემ-ბრანდტის ცნობილი ნახატი
51. დროებ. გაბა-ტონ. გემოვნება
52. მსახიობი ჯუდ ...
53. ტკივი-ლები წელის არეში
54. მოკლე-ნიჩბიანი სპორტული ნავი
55. მდინარე რუსეთში
56. ინდოელი მოჭადრაკე, დიდოსტატი
57. სანტექნი-კური მოწყ-ობილობა
58. შემ-დგომში გადასახდელი დანახარჯი
59. საუბარი ორ პირს შორის
60. ქმრის და
61. სპორტის სახეობა
62. წიწვოვანი ტყის ზოლი
63. მუსიკოსი ... დილანი
64. მექანიკური უკლავიშო მუსიკალური ინსტრუმენტი
65. პერის მცხობელი
66. ჩებურაშ-კას მეგობარი ნიანგი
67. გარგარის ჩირი
68. იგივეა, რაც ფოლაქი
69. კონცხი ყირიმის სამხრეთ ნაპირზე
70. მედიცი-ნის მუშაკი, მშობიარის დამხმარე
71. წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგ-ბურთელი
72. „სკუადრა აძურას“ ექსკაპიტანი
73. სარ-ტყმელი მუსიკალური საკრავი
74. ბერძენი ქაბუკი, რომის იმპერატორ ადრიანეს საყვარელი
75. ბიბლიური პერსონაჟი
76. ეთიოპიის დედაქალაქი ...-აბება
77. იგივეა, რაც არტისტი
78. მდინარე ლონდონში
79. პუ-რეულის ნამ-ჯის ნალეწი
80. სამი მუსიკოსისგან სედგენილი ანსამბლი
81. ჰო-ლივუდის ვარსკვლავი ... ბერიმორი
82. სამშენე-ბლო მასალა
83. თავისუ-ფალი ფორმის ნარკვევი

ვალები ასუქებს?

სიმსუქნე შესაძლოა პირდაპირ კავშირში იყოს ვალებთან — კვლევებისას ასეთი საინტერესო ფაქტი დაადგინეს გერმანელმა მეცნიერებმა. მათ გამოკვლევებში 9 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ჭარბი წონა, ვალების არმქონე პაციენტების მხოლოდ 11%-ში დაფიქსირდა. მათი 35% კი, ვინც გადაუხდელ თანხებზე ნერვიულობდა, სიმსუქნით იტანჯებოდა. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ასეთი განსხვავების ახსნა შესაძლებელია ჩვეულებრივი ფაქტორებით, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლების რაოდენობა, ან გა-ნათლების დონე. მკვლევართა თქმით, ვალების მქონე ადამიანები, დისკომფორტი რომ მოიხსნან, ჭამისკენ არიან მიდრეკილნი. ასევე, ისინი ეტანებიან იაფიან და კალორიულ საკვებს.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(ᲣᲐᲙ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.